# მებრძოლი საქართველო

ქართული ეროვნული საბჭოს ორგანო

„LA GÉORGIE COMBATTANTE“

50 F. MENSUEL

N° 14 | ივნისი — 1953 — JUIN | N° 14

833
1953

## კეთილ მეზობლური ეთიკა

სავარეო ურთიერთობის სფეროში, პატარა ერი, ბუნებრივად, სოლიდარობის და კეთილ-მეზობლობის პრინციპით ხელმძღვანელობს. კარგი მეზობელი კარგ მოყვარეზე უძვირფასესია — გვეუბნება ხალხური გამოცდილება. მეზობლობის ასეთი კულტი საქართველოში ისტორიულ აუცილებლობას წარმოადგენდა. პიროვნების კეთილდღეობის დასაყრდენი საზოგადოებრივი კეთილდღეობაა. ეს ორი მოვლენა ერთიმეორეს ავსებს. მოყვარის ხარჯზე განდიდების ცდა არ შეიძლება ნაყოფიერად დაბოლოვდეს. ეს წესი ვრცელდება აგრეთვე ადამიანთა რთულ კოლექტივზე, როგორიც არის ერი, სახელმწიფო.

საქართველო მუდამ თვინიერი და გამტანი მეზობელი იყო თავისი ინტერესით, ტემპერამენტით და დემოგრაფიული მოსაზრებით, მაგრამ ისტორიულმა გარემოებამ სხვანაირად ინება. დაწყებული ხალხთა დიდი გადასახლებიდან და გათავებული რუსეთის გავლენის გავრცელებამდე, კავკასიის ულელტეხილზე გამუდმებულ რასიულ-რელიგიური და ეკონომიურ-პოლიტიკური ანტაგონიზმთა შეხეთქება სწარმოებდა. შორიდან გადმოსროლილი ტალღები კავკასიის დამპყრობელის და გამანადგურებელის როლში ევლინებოდენ, რაც შეუძლებელს ხდიდა მშვიდობიან-მეზობლური ურთიერთობაზე ფიქრს. ყველაზე ხანგრძლივი და თანმიმყოლი ურთიერთობა საქართველოს ჰქონდა სპარსეთთან და ბიზანტიასთან. სანამ ამ ორ დიდ იმპერიათა შორის წონასწორობა არსებობდა, ქართველი ხალხი ახერხებდა შედარებით ნორმალური განწყობილების დამყარებას და შინ მშვიდობიან აღმშენებლობას. კონსტანტინოპოლის დაცემამ, რომელიც მოხდა ამ ხუთი საუკუნის წინ—1453 წელს, ბიზანტიის იმპერია დასცა და კავკასიას ახალი მეზობელი გაუჩინა. ექსპანსიის ჟინით და რელიგიური ფანატიზმის დინამიურობით ამოძრავებული ოსმალოები მოადგნენ შავი ზღვის ნაპირებს. ამ დღიდან საქართველოს დიპლომატიის ყოველი ცდა მეზობლებთან კეთილ-მეზობლური ურთიერთობის დამყარებისა, მარცხით დამთავრდა. აქ მეზობლობა უდრიდა მორჩილებას. ორი დიდი მოწინააღმდეგეთა ქიშპობაში და მათი თავდასხმების მოგერიებაში , ქართველი ხალხი სისხლიდან დაიცალა. რა გამძლეობა, რა ნების-ყოფა სჭიროდა მას, რომ პატარა ნავი ამ აზვირთებული ტალღებიდან გადაერჩინა და თავისი მიწა-წყალი შეენარჩუნებინა. სამკვიდრო-სასიცოცხლო ბრძოლა საუკუნეები გაგრძელდა. ხალხთა საერთო ჭიდილის და დუღილის ეპოქაში ეს, ასე ვსთქვათ, ბუნებრივიც იყო, რამდენადაც ერთა და ხალხთა შორის დამოკიდებულების მთავარ და გადამწყვეტ ფაქტორს ომი და იარაღის სიძლიერე წარმოადგენდა. სახელმწიფოს სიდიადე და სიცოცხლის უნარი მისი თავდასხმითი დინამიზმით განისაზღვრებოდა. ამ მხრივ, შეიძლება ითქვას, რომ სპარსეთი და ოტომანის იმპერია კავკასიის უძლიერესი მობინადრის, საქართველოს დასუსტებით, თავიანთ ძლიერების დემონსტრაციას ახდენდენ და საკუთარ სახელმწიფოების საფუძველს ამაგრებდენ. მაგრამ ეს ასე იყო სანამ რუსეთი კავკასიის ბჭეებს მოადგებოდა.

მე-17 საუკუნეში, მოსკოვის გარშემო გაერთიანებული სამთავროები საგრძნობ ძალით გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაიქცა და მეთოდიურად მოუახლოვდა კავკასიის ქედს. მოსკოვის ახალი სახელმწიფო აღმოსავლეთის კარიბჭისკენ მიიწევდა, ექსპანსიის პროცესში თანდათან იზრდებოდა და სამხრეთ მეზობლებს საფრთხეთ ევლინებოდა. მათ გამოცდილებით იცოდნენ, რომ საქართველოს დამორჩილება და მისი პროვინციად გადაქცევა საუკუნეების მანძილზე შეუძლებელი დარჩა. სანამ, რუსეთის საფრთხე გამოჩნდებოდა მათი თავდასხმებით ჩვენი ქვეყანა ნადგურდებოდა, მაგრამ ამ ახალი ძალის გამოჩენის შემდეგ ისინი თავის დასაკლავ დანას ამზადებდენ. თუ წინედ პატარა, ქრისტიანული კულტურის მატარებელ სახელმწიფოს, მათი სიძლიერე დამოკლეს ხმალივით ებჯინებოდა, დღეს მისი დასუსტებით სპარსეთი და ოტომანის სახელმწიფო შლიდენ იმ ბუნებრივ პოლიტიკურ ჯებირს, რომელიც რუსეთს მათი საზღვრებიდან აშორებდა. აღმოსავლური დიპლომატია ცნობილია თავისი მოქნილობით და სიბრძნით, მაგრამ რაღაც გაუგონარი სიჯიუტის გამო, ეს თვისებები აღარ აღმოაჩნდა მას კავკასიის საკითხში. იმის მაგიერ, რომ შერიგებულიყო დაწოლას, შეწყვეტილიყო გამანადგურებელი თავდასხმები, რომელთაც, სულ ერთია, ვერ გასტეხეს ქართველების გამძლეობა; იმის ნაცვლად, რომ მეზობლური ხელი გაეწოდებიათ სიცოცხლით სავსე თავისუფლების მოყვარულ ერისათვის და საერთო ძალით შეეჩერებიათ რუსეთის ექსპანსია, მათ სასიკვდილოთ დასჭრეს და დაასუსტეს საქართველოს სხეული. ამ უკანასკნელს დაუდგა ყოფნა-არყოფნის საკითხი. ერის ფიზიკური არსებობა ჩავარდა საფრთხეში, რამაც მისი სასოება ჩრდილოეთისკენ მიმართა. ერთ მორწმუნე რუსეთში ხედავდა იგი ერთად-ერთ ხსნას. მასთან დაკავშირების პირველივე ცდებით გამოაშკარავდა საშიშროება, რუსთა პოლიტიკა რომ პატარა ერს უმზადებდა. არა ერთხელ დაარღვია რუსეთმა სამეგობრო პირობები ბრძოლის ველზე მიტოვებით თუ უზნეო ინტრიგებით, რაც ქმნიდა ხელსაყრელ პოლიტიკურ და ფსიქოლოგიურ პირობებს საქართველოს ორიენტაციის შემობრუნებისა, მაგრამ მეზობლებმა დაუხურეს მას გამოსავალი კარები. მათ კიდევ მეტად გააძლიერეს თავდასხმები და დასუსტების პოლიტიკა. 1795 წელს, სპარსელების მიერ ტფილისის განადგურებით ამ პოლიტიკამ მიაღწია უმაღლეს წერტილს. 1795 წელი... საუკუნე ნახევარია მას შემდეგ და კაცი, დღეს, ეკითხება თავისთავს, ნუ თუ ასეთი ვერაგობა და, მეტი რომ არა ვსთქვათ, ასეთი პოლიტიკური სიბეცე და საკუთარი ინტერესების უგულვებელყოფა შესაძლებელი იყო ასე ახლო წარსულში?! ღონემიხდილი ქვეყანა მწიფე ვაშლივით ჩაუვარდა ხელში კარზე მომდგარ რუსეთს. მოიშალა ბუფერი, რუსულ გიგანტს, რომ სამხრეთ მეზობლების საზღვრებიდან აშორებდა. ამ ისტორიული წარსულის მოგონებით, ჩვენ მხოლოდ, გვსურს წარსულ გაკვეთილებს ხაზი გავუსვათ. შემდეგმა მოვლენებმა დაამტკიცეს თუ რა დათვური სამსახური გაუწიეს მათ თავიანთ თავს! ამ წინდაუხედავ პოლიტიკას მალე გადაჰყვა სპარსეთი. საშინაო გართულებამ და ჩრდილოეთის დაწოლამ სავსებით ამოაგდო იგი საერთაშორისო პოლიტიკიდან, როგორც მნიშვნელოვანი ფაქტორი, ხოლო ოტომანის იმპერიას რუსული ხიშტი ყელზე მიებჯინა და მუდმივი საფრთხე და საზრუნავი გაუჩინა. ჩვენი მეზობლების პოზიტიურ დიპლომატიას მაშინ ეს გაკვეთილი არ დაუკარგავს; მოგვიანებით შეეცადენ ისინი შეცდომის გამოსწორებას და ყველა მათ განკარგულებაში არსებული ზომებით უწყობდენ ხელს ქართველთა ბრძოლას ჩრდილოელ ოკუპანტის წინააღმდეგ. სამხრეთ მეზობლების და საქართველოს სახელმწიფოებრივი სოლიდარობის აუცილებლობა, დაგვიანებით გამოაშკარავდა და განსაკუთრებით ოტომანთა პოლიტიკას შესაფერი ტენდენციაც ემჩნეოდა.

1917 წლის თებერვლის რევოლუციამ დაამხო რუსეთის ძლიერება. ეს სწორედ, ის მომენტი იყო, როცა მისი ჯარები ტრაპიზონიდის გზით სტამბოლს ემუქრებოდენ. ამ მოვლენამ განადგურებიდან იხსნა ოტომანთა იმპერია, ხოლო კავკასიის ერები გამოიყვანა თავისუფლების გზაზე. ერთად-ერთი მეზობელი, რომელსაც ომისგან განმარტოვებული კავკასიის ერების გამაგრება და მათი თავისუფალ მსოფლიოსთან დაკავშირება შეეძლო, იყო ოტომანის იმპერია. მის პირდაპირ ინტერესს წარმოადგენდა ამ ბედნიერ შემთხვევის ურყევ ფაქტად გადაქცევა და რუსეთის საზღვრებიდან მოცილება. გონიერი პოლიტიკა არ არის მხოლოდ არსებულის ხედვა და მომენტით გატაცება, არამედ მოვლენების გათვალისწინება წარსულის გაკვეთილების საფუძველზე. ოტომანის შემოტევებმა დაშალა კავკასიის ერთა მთლიანობა, რამაც საშუალება მისცა წითელ რუსეთს, მათთვის თითოთითოდ, ხელმეორედ მონობის უღელი დაედგა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასეთი იყო ბრესტ-ლიტოვსკის ზავის პირდაპირი შედეგი. რა ძალა და აზრი უნდა ჰქონოდა ოკუპანტების მიერ ტერიტორიის გაჩუქებას? თავისუფალ საქართველოს პოლიტიკიდან ხომ აგრესიული, იმპერიალისტური ზრახვები ბუნებრივად გამორიცხული იყო. რა მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა ლენინის დაპირებებს ბრესტ-ლიტოვსკში თუ რუსეთი კავკასიაში კვლავ გამაგრდებოდა? თუ ეს უკანასკნელი შესძლებდა ჩრდილოეთ მეზობლისგან საბოლოოდ თავის დაღწევას, მაშინ ხომ მისი გეოგრაფიული ჩარჩოები მისი უშუალო მონაწილეობით უნდა მოხაზულიყო! მართალია იმის პირობებში ნორმალურ ურთიერთობაზე ლაპარაკი და ფიქრი შეუძლებელია. საკითხს ძალა სწყვეტს, მაგრამ ძალა მტრის და არა უდანაშაულო მეზობლის წინააღმდეგ მიმართული.

თვით პორტა, იმ პერიოდში, დიდი შინაური ძვრების პროცესს განიცდიდა. ქემალ ატატურკის მოძრაობა ფართოვდებოდა და სულთანის ძლიერების დამხობას ამზადებდა. ასეთ პირობებში დადებითი საგარეო პოლიტიკის გამართვა მართლაც შეუძლებელი იყო და შეიძლება ამით აიხსნას ჩვენი მეზობლების ზოგიერთი შეცდომაც.

ამ ჟამად მდგომარეობა ძირ-ბუნებიანად გამოცვლილია. ატატურკის ხალხოსნური რევოლუცია დიდი ხანია სრული გამარჯვებით დაგვირგვინდა; ის ღრმად შეიჭრა ხალხის ცხოვრებაში და შეუცვალა მიმართულება. ახალგაზრდა, დინამიური დემოკრატია იმდენად, ტოტალურად ჩაება მოდერნული ცივილიზაციის ფერხულში და სასწაულებრივი სისწრაფით მიილტვის ახალი საზოგადოების დამკვიდრებისაკენ. ასეთი სასწაულების მოხდენა შეუძლია მომავლის რწმენით და წინსვლის ჟინით ამოძრავებულ ერს. ამ სამი ათეული წლის განმავლობაში განათლებული კაცობრიობა დიდი ინტერესით და სიმპატიით ადევნებს თვალ-ყურს თურქეთის ახალგაზრდა დემოკრატიის გამარჯვებას შინაურ ფრონტზე. ის ითვლება თავისუფალი დემოკრატიული ოჯახის ღირსეულ წევრად.

ჩვენ, ქართველები, განსაკუთრებით, დაინტერესებული ვართ მეზობელ თავისუფლების კერის, პროგრესიულ დემოკრატიის განმტკიცებაში. მკვდრეთით აღდგენილ საქართველოს დემოკრატიას, ცხადია, გაუადვილდება მასთან კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარება და ძველი კოშმარული დამოკიდებულების ლიკვიდაცია. ჩვენ არ გვავიწყდება თურქეთის ადმინისტრაციის მეგობრული სითბო და მზრუნველობა ლტოლვილთა მიმართ, მიუხედავად საბჭოებთან მოსალოდნელი დიპლომატიური გართულებისა. ახალი თურქეთი მტკიცედ სდგას დასავლეთური დემოკრატიის გზაზე შინ და გარეთ. თავისუფალი ქართული სახელმწიფო ადვილად გამონახავს და დაამყარებს მასთან ნამდვილ მეზობლურ და მეგობრულ განწყობილებას. გვწამს რომ ქართველი ერის დღევანდელი უბედურების ფაქტის დადასტურებით, წარსულის საბედისწერო შეცდომები არ განმეორდება.

კომუნისტური დაპირებები და ხელის მოწერა, განსაკუთრებით, თუ საქმე ტერიტორიას ეხება, ჩალის ფასადაც არ ღირს. მათი ნაბიჯი გამოანგარიშებულ და შეფარდებულია მათ საბოლოო მიზანთან. დღევანდელი ტირანები ცდილობენ, მათ მიერ გამოწვეული საგარეო საფრთხის აცილებას. ატლანტიკის ბლოკი სერიოზულად ემუქრება საბჭოეთის ჯოჯოხეთურ სამყაროს. მოსკოვის მთავარი ამოცანაა, მოკავშირეთა ბლოკის დაშლა, დავის და უთანხმოების გაღვივებით. ამ ანკესზე წამოგება ნიშნავს ტირანების შერყეულ პოზიციების გამაგრებას. მათი უკანასკნელი ჟესტი თურქეთის მიმართ ამ სტრატეგიული ჯაჭვის ერთი რგოლია; ტერიტორიის განსაზღვრულ ნაწილზე ხელის აღებით ის არაფერს ჰკარგავს. რამდენი ხელშეკრულება დასჭირდა რუსეთ-ოსმალეთის საზღვრების საქმეს, მაგრამ ის დღემდე მოუგვარებელია! მოსკოვის ჩვეულებაა პროცენტით დაიბრუნოს, თუ ოდესმე რამე გაუცია.

დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის საგანგებო რწმუნებულმა ლენინის მთავრობასთან გ. ურატაძემ, 1921 წლის მიწურულში ორთაჭალის ციხეში, მოხსენება გაუკეთა თავის თანამოსაკნე პოლიტიკურ პატიმრებს წითელ რუსეთთან (7 მაისი 1920 წელი) დადებულ ხელშეკრულობაზე. დასკვნაში მან განაცხადა: ქართველებს ყველაზე უფრო საზღვრების საკითხი გვაფიქრებდა, მაგრამ, ჩვენდა მოულოდნელად, რუსებმა უსიტყვოთ დაგვიმტკიცეს ჩვენ მიერ მოხაზული საზღვრები-ო. ამაზე ერთმა გურულმა გლეხმა შენიშნა: რა ეხარჯებოდათ, შე კაი კაცო, რატომ მოსკოვსაც არ მოგვიჭრიდენ თუ მეორე დღეს ტფილისიდან უკან წაიღებდენო. ასეთივე წესით ფიქრობენ ისინი დღეს თურქეთთან საქმის მოგვარებას. მათი მიზანია ატლან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტიკის მთლიანობის დარღვევა და მოკავშირეთა შორის უთანხმოების გაღვივება, რასაც უნდა მოჰყვეს შეერთებულ შტატებში იზოლაციონიზმის გაძლიერება და ევროპის თავის ამარა მიტოვება. ამრიგად განმარტოვებული თურქეთი შედარებით ადვილი „დასარწმუნებელი“ გახდება. მას უმზადებენ სატელიტის ბედს. მოსკოვის იმედია დღეს დათმობილ ტერიტორიებს სრუტეები პროცენტებიათ დაუმატოს. ასეთია, ეს ლამაზი გეგმა თუ მოვლენები მოსკოვის სურვილებს მიჰყვნენ. როგორც არაფერ შუაში იყო ქართველი ხალხი 1946 წლის მოთხოვნილებაში თურქეთის მიმართ, ისე არაფერ შუაშია ის მოსკოვის დღევანდელ ოინბაზობაში. დაჩაგრულ ერს აქვს უფლება იმედი იქონიოს, რომ მის მჩაგვრელთან ურთიერთობაში მეზობელი ერი არ დაივიწყებს მის შელახულ ინტერესებს. საბჭოთა ტირანია ახლო მომავალში წარსულს მიეკუთვნება. მომავალი თავისუფალ სამყაროს ეკუთვნის და თურქეთი ხომ მომავლისაკენ მიექანება. განთავისუფლებული ქართველი ერი სათანადოთ დააფასებს მეზობლის კეთილშობილურ მოპყრობას მისი უბედურების პერიოდში და შესძლებს კ უ ლ ტ უ რ უ ლ ი საშუალებით გაჰფანტოს დუხჭირი ისტორიულ პირობების ნაანდერძევი გაუგებრობანი. თურქეთის თავისუფალი განვითარების გარანტია კავკასიის განთავისუფლებაა. კავკასიის თავისუფლების განმტკიცება კი ბევრად არის დამოკიდებული მეზობლის თანაგრძნობა-დახმარებაზე. ამიტომ, მათი მომავალი ურთიერთობა კეთილ-მეზობლური ეთიკის საფუძველზე უნდა აიგოს.

## ა ღ მ ო ს ა ვ ლ ე თ გ ე რ მ ა ნ ი ა შ ი

ბოლშევიკური „რევოლუციის“ ცდები ცენტრალურ ევროპაში პირველი მსოფლიო ომის შემდეგ მარცხით დამთავრდა. იგი არ ეკარებოდა თავისუფალი ადამიანის სულსა და გონებას. მეორე ომმა და მოკავშირეთა გულუხვობამ სხვების ხარჯზე, ხელი შეუწყო საბჭოთა რუსეთს თავისი დამპალი საქონელი ხიშტების წვერზე გამოეტანა გარეთ და მონობის საზღვრები გაეფართოებია. ცენტრალური ევროპის გასაბჭოებამ გააყალბა ატლანტიკის ხარტიის ძირითადი მცნებანი და შეავიწროვა თავისუფლების არე. ადამიანი, მისდა საუბედუროდ, მეტად ჯიუტი არსებაა. ის ცდილობს მხოლოდ საკუთარი ცდის შედეგებზე ისწავლოს და სხვის გამოცდილებას სათანადოთ ვერ იყენებს. უკანასკნელი სამი ათეული წლის მოვლენებმა დაგვანახვეს თუ რა ძვირი უჯდება მას ეს გადამლაშებული ემპირიულობა.

17 - 18 ივნისის დემონსტრაციებით გერმანიის მშრომელებმა მსოფლიოს აჩვენეს შეცდომის სიღრმე და თავიანთი სისხლით, ოფლით დასწერეს მათი ბუნებრივი მოთხოვნილებები. ცხრა წელიწადია, რაც გერმანიის აღმოსავლეთი ნაწილი, განიარაღებული, ხელ-ფეხ შეკრული ითმენს კომუნისტურ ექსპერიმენტებს, ხოცვა-ჟლეტას, განადგურებას, შიმშილს და დამცირებას. მართალია, გერმანიის ხალხს თავისი წილი აქვს ნაცისტურ დანაშაულში, მაგრამ ამ დანაშაულის გამოსწორების ფორმა და წესები დიდი ხანია გათვალისწინებული და ჩამოყალიბებული აქვს საერთაშორისო სამართალს. თუ რომელიმე სამართალი მოითხოვს გერმანიის სამაგალითო დასჯას, მაშინ რა შუაში უნდა იყოს ამ სასჯელის ასე უხეირო განაწილება მის ტერიტორიის ორ ნაწილზე? მაშინ, როდესაც დასავლეთი სექტორი მხოლოდ სამხედრო ოკუპაციას განიცდის და თავისუფლად თავის შინა-ცხოვრების მოწყობაში, ბატონია თავის სახლში, აღმოსავლეთი ნაწილი ახალი დროის ატილას განუსაზღვრელი თარეშით ითელება. რომელ ლოღიკურ, მორალურ თუ პოლიტიკურ მოსაზრებას ძალუძს ამ მყვირალა და სამარცხვინო შეუსაბამობის გამართლება? არა, რუსულ-ბოლშევიკურ ოკუპაციის კედელში ჩაჭედილი გერმანიის აღმოსავლეთი სექტორი, საერთაშორისო სამართლის პრინციპებით კი არ ისჯება დღეს, არამედ თვით ამ პრინციპის გაუგონარი გაყალბებით. ცხრა წლის განმავლობაში მოთმინებით ზიდა მან რუსული ექსპერიმენტების სიმძიმე; შეეცადა მოთმინებით დაემსახურებია კვალად ის თავისუფლება, რომლის გაძლიერებასა და განმტკიცებაში დაუფასებელი ღვაწლი მიუძღვის გერმანიის მუშათა მოძრაობას მთელი წარსული საუკუნის მანძილზე. მოთმინებასაც საზღვარი აქვს. გერმანიის მუშები კვლავინდებურად თავდავიწყებით, ხელცარიელნი დაეტაკენ აზიური მონობის მოციქულ ტანკებს და მასიური აჯანყებით, სისხლით და ცრემლით მოაბანეს დემოკრატიას ის სირცხვილი, რომელიც ამ უკანასკნელმა თავის-თავის წინა-

ში დაიმსახურა. აღმოსავლეთ გერმანიის მუშებმა სასიკვდილო ლახვარი ჩასცეს მოსკოვის ჯალათებს და მათ აგენტებს. განიარაღებული მუშები მიაკვდენ საბჭოთა ტანკებს და ტყვიისმფრქვევლებს, რომელთა საზარელმა აკაკანებამ ვერ დაჰფარა დემონსტრანტების მძლავრი ამოძახილი: „ჩვენ გვინდა თავისუფლება". კომუნისტური მოღალატეთა მთავრობა მიიმალა, ხალხის რისხვას თვალი ვერ გაუსწორა. აჯანყებული ბერლინის ხალხი, რომელსაც კომუნისტური პოლიციაც შეუერთდა, ძლევა-მოსილი დემონსტრაციით გარს შემოერტყა გამყიდველთა მთავრობის შენობებს. ხალხურ-მუშური რევოლუცია ორი დღის განმავლობაში დაეუფლა ბერლინის ქუჩებს და თუ არა რუსული ჯარების ჩარევა, კომუნისტური პარტია და მთავრობა ნაგავივით აიხვეტებოდა. კომუნისტური ტანკები ქელეტდენ და სრესდენ უიარაღო მუშებს. და ამ აპოკალიპტური სურათს, ამ უდანაშაულო სისხლის ღვრას უმწეო მოწმედ შეჰყურებდენ ზონაზე მოგროვილი მათი დასავლეთის სექტორის თანამემამულენი. ნუ თუ ამ ზომის სასჯელი დაიმსახურა გერმანიის ხალხმა? ყოველ შემთხვევაში, დაიღვარა სისხლი, რომელმაც უნდა იკმაროს დანაშაულის მოსარეცხად; აგორდა დასჯილ ადამიანთა უძლევი ტალღა, რომელმაც უმწიკვლო მსხვერპლის გაღებით კაცობრიობას მოსკოვის ნამდვილი სახე უჩვენა. ბერლინის აჯანყებამ, მუშათა სისხლის ნიაღვარმა თავისუფალ მსოფლიოს უკანასკნელი გაფრთხილება მისცა. როგორც მოსალოდნელი იყო, წითელი ოკუპანტები შეეცადენ ამ მოვლენის გაშავებას. 18 ივნისიდან დაწყებული, საბჭოთა პრესა და რადიო ყოველ-დღიურად გაჰყვირიან ფაშისტური აგენტების პროვოკაციაზე. ისინი ჩვეულნი არიან მოსყიდული აგენტებით მოქმედებას, მაგრამ ეს წვრილიანი ხერხები ვერას სჭრის. მთელი ნახევარი გერმანიის მშრომელთა მასიური მოსყიდვა მხოლოდ ამ უკანასკნელთა რევოლუციონურ სინდისს და თავისუფლების უტეხ ნებას შეუძლია. ბერლინში დაღვრილ სისხლის უმანკო სიწითლეს ვერ დაჰფარავს ტირანთა დაბეჩავებული პროვოკაცია და უზნეო პროპაგანდა.

დიდხანს ვერ გაიგებს კაცობრიობა ამ დღეების მსხვერპლთა ნამდვილ რაოდენობას. მხეცები სჭამენ და აქრობენ თავიანთ მსხვერპლთა ცხედრებს, მაგრამ ხალხოსნური აფეთქების მიზანი მიღწეული და გამართლებულია. თავისუფლების მაძიებელი და ბრძოლის უნარის პატრონი ხალხი თავისუფლებას მოიპოვებს. პირშავი ტირანის მოჩვენებითი დამამშვიდებელი ზომები ვერას შეაჩერებენ მისი რღვევის პროცესს. ივნისის აჯანყებით გერმანიის მშრომელი ხალხი კომუნისტური რეაქციის წინააღმდეგ მებრძოლი ფრონტის პირველ რიგში ჩადგა.

ვალ.

## კრემლის „საზავო" დიპლომატია

კრემლის „საზავო" დიპლომატია" დიქტატორის სიკვდილის შემდეგ სხვადასხვა ფორმას და შინაარს იღებს. ეს „დიპლომატია" დაიწყო იმით, რომ საბჭოთა ხელისუფლების მოხელეები უცხოელ წარმომადგენლებს, წინააღმდეგ იმისა, რასაც წინეთ ადგილი ქონდა, ეხლა თურმე მეტის ზრდილობით და თავაზიანობით ხვდებიან. უყურადღებოთ არ დარჩა არც ვიშინსკის, თუ სხვა რუს დიპლომატთა მიერ ლანძღვა-გინების მდიდარი ლექსიკონის შენელება. გრძნობიარე ანგლო-საქსონები ააცრემლიანა აგრეთვე მოლოტოვის განკარგულებამ: ორი ინგლისელის და ოთხი ამერიკელის ცოლები, რომელთაც წინეთ საბჭოთა რუსეთიდან გასვლა ეკრძალებოდათ, ეხლა თავისუფალი არიან თავიანთ ქმრებთან წავიდენ და მათ შეუერთდენ. ამას ემატება კიდევ ის, რომ ძველი დეკრეტი გაუქმებულია და უცხოელ დიპლომატებს საშუალება ეძლევათ უფრო თავისუფლად იმოგზაურონ საბჭოთა კავშირში ბევრი სხვადასხვა სტრატეგიული და სამხედრო მნიშვნელობის ადგილების გამოკლებით. საერთოდ, რაც კულტურულ ქვეყნებში სრულიად ნორმალური მოვლენათ ითვლება, არაჩვეულებრივად და გასაკვირად მოსჩანს მხოლოდ საბჭოთა რუსეთში. არანაკლებად გასაკვირია უცხოელთათვის ისიც, რომ კრემლის მესვეურნი დღეს ყოველ ნაბიჯის გადადგმაზე ზავზე გაჰკივიან და საერთაშორისო ხასიათის ყველა ძნელ და რთულ საკითხების მოგვარებას მშვიდობიანის გზით შესაძლებლად სთვლიან. და ყველაფერი ეს კი ახდენს შთაბეჭდილებას არა მხოლოდ მეშჩანურად განწყობილ და მუდამ მერყევ მდგომარეობაში მყოფ ევროპის საზოგადოებრივი აზრის ერთ ნაწილზე, არამედ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევროპის ბევრი გამოჩენილი და ცნობილი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწეებზედაც.

კრემლის „საზავო" დიპლომატიის საპასუხოთ ინგლისის მთავრობის მეთაურმა ოთხი სახელმწიფოს — ამერიკის, ინგლისის, საფრანგეთის და საბჭოთა კავშირის — კონფერენციის მოწვევის წინადადება წამოაყენა. ბოლშევიკური პარტია ამ წინადადებას დიდის თანაგრძნობით შეხვდა. იყო დიდი საშიშროება, რომ მოსკოვიც ოფიციალურად ამ წინადადებას მიიღებდა და ასეთ კონფერენციაზე მოუმზადებლად მოსულ და ურთიერთშორის ბევრი სადაო საკითხების მქონე სხვადასხვა სახელმწიფოთა წარმომადგენლებს ერთი-მეორეს დაუპირდაპირებდა.

ასეთი საფრთხის თავიდან ასაცილებლად ამერიკის პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა პირდაპირ მიმართა ინგლისს და საფრანგეთს, რათა ამ სამი სახელმწიფოს წარმომადგენლები შეკრებილიყვნენ სათათბიროთ ბერმუდის კუნძულზე, წინასწარ შეთანხმებულიყვნენ ყველა სადაო საკითხების შესახებ და იქვე გადაეწყვიტათ იყო საჭირო თუ არა მოსკოვთან მოლაპარაკების გამართვა.

როცა მოსკოვმა დაინახა, რომ მდგომარეობას მის სასარგებლოთ მსვლელობა არ ეძლეოდა, მისი ზრახვების განსახორციელებლად მან სხვა ტაქტიკას მიმართა.

თვეების განმავლობაში გრძელდებოდა მოლაპარაკება კორეაში სამხედრო ტყვეების გაცვლა-გამოცვლის შესახებ. ეხლა კი კომუნისტებმა სრულიად მოულოდნელად მიიღეს და ხელი მოაწერეს იმ წინადადებებს, რომელსაც წინეთ ერთა კავშირის ორგანიზაცია იძლეოდა და რომელზედაც კომუნისტები სისტემატიურად არ თანხმდებოდენ. ეს კომპრომისი კომუნისტებმა გააკეთეს, მაგრამ მათი მთავარი ცდაა კორეაში ტყვეების და არმისტისის შესახებ შემდეგ მოლაპარაკებში, ინგლისის დახმარებით და საშუალებით, ჩინეთიც ჩამოითრიონ, ის ერთა კავშირის წევრი გახადონ და ამით ზურგი გაიმაგრონ.

ავსტრიაში მოსკოვის მთავარი წარმომადგენელი სამხედრო პირი სამოქალაქო პირით იცვლება და ამ პატარა ქვეყანაში ადამიანის და საქონლის მოძრაობა, ვითომ, თავისუფალი ხდება. მაგრამ ამ ზომებს დიდი მნიშვნელობა არ მიეწერება, სანამ ავსტრიასთან ზავის ხელშეკრულებაზე, რომლის პროექტი დიდი ხანია მზად არის, მოსკოვს ჯერ კიდევ ხელი არ მოუწერია და იქიდან რუსი საოკუპაციო ჯარები არ გაუყვანია.

ავსტრიის შემდეგ მოსკოვი ოსმალეთს აცნობებს, რომ ის ყარსის, არდაგანის და ართვინის ვილაეთებზე უარს ამბობს, დარდანელში სამხედრო ბაზებს აღარ მოითხოვს და მონტროს კონვენციის გადასინჯვის მომხრე და მსურველი არის.

ყარსი, არდაგანი და ართვინი — ეს სხვისი ტერიტორიები — რუსებმა ჯერ კიდევ ბრესტლიტოვსკის ხელშეკრულებით დაუთმო ოსმალეთს. მაგრამ ამავე ადგილების მისთვის უკან დაბრუნებას მოსკოვი მოითხოვდა ოსმალეთისაგან 1946 წელს. შემდეგ ორი ქართველი მეცნიერის დასაბუთებით საბჭოთა კავშირის საზღვრები ტრაპიზონამდე მიდიოდა. სხვათა შორის ამან გამოიწვია ოსმალეთის დიდი შიში, მისი ამერიკასთან დაახლოვება, მისი სამხედრო გაძლიერება და ატლანტიკის პაქტში შესვლა. ამ უკანასკნელ ხანებში ოსმალეთი სამხედრო კავშირს სდებს აგრეთვე საბერძნეთთან და იუგოსლავიასთან და ხდება ძლიერი სამხედრო ძალათ, როგორც ბალკანეთში, ისე მთელ ახლო აღმოსავლეთში.

გასაკვირი არ არის, რომ მოსკოვი დღეს, ვითომც, ყველა მის რევანდიკაციებზე ოსმალეთის მიმართ უარს ამბობს და ცდილობს მასთან დაამყაროს ისეთივე მეგობრული კავშირი და დამოკიდებულება, რომელიც მათ შორის მუსტაფა ქემალის დროს არსებობდა. მოულოდნელი არ არის, მოსკოვმა ოსმალეთს მის ნეიტრალობაზე რომ ვაჭრობა დაუწყოს, რათა ის საერთო ფრონტს ჩამოაშოროს და ამისათვის შესაფერისი ფასიც შესთავაზოს.

ყველაზე უფრო დიდ მნიშვნელობის მოვლენას ქონდა ადგილი აღმოსავლეთ გერმანიაში. ამა წლის 11 ივნისს იქ კომუნისტური პარტიის პოლიტბიურომ უარყო 1952 წლის 9 ივლისის დეკრეტი, რომლითაც ხდებოდა აღმოსავლეთ გერმანიის სოვეტიზაცია. პოლიტბიურო მიუთითებს პარტიას და მთავრობას მთელ რიგ შეცდომებზე, რომელნიც მათ ჩაუდენიათ და მოითხოვს მათგან ისეთი ზომების უკან წაღებას, როგორც არის — გლეხთა მიწების კონფისკაცია, სასოფლო წარმოების პროდუქტების და ზოგი გადასახადების ძალით შეკრება, წვრილ გლეხების, კომერსანტების და არტიზანების

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერესების ფეხ-ქვეშ გათელვა, სარწმუნოების და ეკლესიის დევნა, ბევრი პირთა უდანაშაულოდ და უკანონოდ დაჭერა და სხვა.

რამ აიძულა მოსკოვი ამ ახალი პოლიტიკის საწარმოებლად, გერმანიელი კომუნისტური პარტიის პოლიტბიუროს საშუალებით, ასეთი ზომისათვის მიემართა?

არა მხოლოდ იმან, რომ სოვეტიზაციის პოლიტიკა აღმოსავლეთ გერმანიაში სავსებით გაკოტრდა და მან იქ ხალხის დიდი უმრავლესობის უკმაყოფილება და აღშფოთება გამოიწვია. საქმე იმაშია, რომ გერმანიის პრობლემა საბჭოთა რუსეთისათვის დღეს ერთი უმთავრესი საერთაშორისო საკითხთაგანია.

საბჭოთა რუსეთს სურს გერმანიის ინდუსტრიალური ადგილები ხელში ჩაიგდოს და მით ადვილად მთელ ევროპაში გაბატონდეს. ამ მიზნის მისაღწევად მოსკოვი ყოველივე ღონეს ხმარობს ხელი შეუშალოს დასავლეთ გერმანიის ინტეგრაციას ევროპის თავდაცვის ერთობლიობაში. ახლახან მიღებული ზომებით ის ფიქრობს გერმანიის მომავალ არჩევნებში თავის სასარგებლოთ გავლენა მოახდინოს, ადენაუერი მთავრობიდან გადააგდოს და შემდეგ გერმანიის გაერთიანების პირობით მისი დემილიტარიზაცია და ნეიტრალობა წამოაყენოს. მოსკოვმა კარგად იცის, რომ უიარაღო და ნეიტრალური გერმანია საბჭოთა გავლენის სფეროს ვერ აცდება და ამერიკული ჯარების ევროპიდან გასვლისთანავე ის მისი სატელიტი გახდება.

გასაგებია, რომ ბოლშევიკები ცდილობენ მათი „საზავო შეტევით“ მოახდინონ შთაბეჭდილება და შექმნან ილუზია კორეაში, ავსტრიაში, ოსმალეთში, გერმანიაში, თუ სხვაგან, ვითომც, საბჭოთა რუსეთთან სადაო საკითხების **საბოლოოდ** მოგვარება ყველასათვის შესაძლებელი იყოს და ის აგრესიულ ზრახვებს თავს ანებებდეს.

მაგრამ საბჭოთა ისტორიის თვალ-ყურის მდევნელთ და მკვლევართ ვერ გამოეპარება ათეული წლების განმავლობაში კრემლის მიერ გაკეთებული ტაქტიკური მიხვევ-მოხვევები და ცვლილებები.

ჯერ კიდევ 1921 წელს ლენინმა შეცვალა თავისი ტაქტიკა, სამხედრო კომუნიზმის ადგილას შემოიღო ახალი ეკონომიური პოლიტიკა და ნორმალური კომერციული და დიპლომატიური დამოკიდებულება დაამყარა მაგარ ფეხზე მდგარ მაშინდელ არაკომუნისტურ ქვეყნებთან. 10-12 წლის შემდეგ ჰიტლერის გერმანიის და იაპონიის საშიშროებამ ბოლშევიკები „მთლიანი ფრონტის“ პოლიტიკამდე მიიყვანა და მაქსიმ ლიტვინოვი ერთა ლიგაში კოლექტიური უზრუნველყოფის მტკიცე დამცველად გახადა. 1939 წლის აგვისტოში ცვლილება მოხდა მეორე მიმართულებით, როცა სტალინი და ჰიტლერი დამეგობრდენ და პაქტს ერთად ხელი მოაწერეს. ორი წელი არ გასულა ამის შემდეგ, რაც გერმანიის ჯარები საბჭოთა რუსეთს შეესია და 1941 წლის მაისში „სისხლის მწოველი ბრიტანეთის იმპერიალისტები“ უკვე 1941 წ. აგვისტოში გახდენ მოსკოვისათვის „მამაცი და ერთგული მოკავშირენი“.

ისტორიის პერსპექტივაში ეხლა ნათელია, რომ ზემოდ აღნიშნულ ბოლშევიკების ყველა ტაქტიკურ ცვალებადობას არსებითად ერთი და იგივე მიზანი ჰქონდა: ერთის მხრივ საბჭოთა ხელისუფლების გამაგრება, მეორე მხრივ დასუსტება და დაქსაქსვა იმ ძალისა, რომელსაც თვითეულ განსაზღვრულ მომენტში მოსკოვი მის მთავარ მოწინააღმდეგეთ და მტრათ სთვლიდა.

სტალინის მემკვიდრეებიც ეხლა შექმნილ მდგომარეობას ანგარიშს უწევენ. ისინი ხედავენ, რომ საერთაშორისო დემოკრატია და თავისუფალ ერთა ბანაკი, თუმცა ნელ-ნელა, მაგრამ თანდათანობით ძალებს იკრებს და მაგრდება. ატლანტიკის, თუ ბალკანეთის ქვეყნების პაქტი და ევროპის თავდაცვის ერთობლიობა რეალური და ანგარიშს გასაწევ ფაქტათ ხდება. და, რაც ყველაზე უმთავრესია, ამ დროებით ატომიური ბომბების რიცხვი და სიძლიერე ამერიკელების მხარეზეა. თვით საბჭოთა რუსეთის, თუ მისი სატელიტი ქვეყნების მდგომარეობა კი, ყველა ნიშნებით, მეტად მერყევი და არასტაბილურია. საგარეო ფრონტზე ერთა ერთი-ერთობის მხრივ მოსკოვმა თავისი პოლიტიკით ხომ მთელი მსოფლიო დააპირდაპირა. აი ამ საერთო მდგომარეობით არის გამოწვეული, რომ კრემლი ახალ ტაქტიკას მიმართავს თავისუფალ ქვეყანათა მთლიანი ფრონტის დასანგრევად და დასასუსტებლად.

ჩვენ არა ერთხელ დაგვიწერია, რომ საბჭოთა რუსეთს ეხლა მართლა სურს **დროებითი** ზავი. მას უნდა ამ დროებითი ზავით ისარგებლოს თავისი ეხლანდელი არასტაბილური მდგომარეო-

ბის გამოსასწორებლად, მოსამაგრებლად და შემდეგ კი მისი ბოროტი ზრახვების განსახორციელებლად. ამ მიზნით, ადვილად მოსალოდნელია, რომ მოსკოვმა ზოგიერთი დათმობები და კონცესიები გააკეთოს.

მაგრამ როგორ და ვის უკეთებს კრემლი ამ დათმობებს?

ნორმალური დიპლომატიური მუშაობის გზა ერთია: თუ რუსებს სურთ ამერიკასთან და სხვა დიდ სახელმწიფოებთან შეთანხმება და ნამდვილი ზავის პირობების გამონახვა, ისინი უნდა მიდიოდენ განზრახულ კონფერენციაზე და იქ აკეთებდნენ ამა თუ იმ დათმობებს და თავის მხრივაც ამ ვაჭრობა-მოლაპარაკების დროს მოითხოვდნენ სამაგიერო დათმობებს. ბოლშევიკები კი, წინააღმდეგ, სანამ ჯერ კიდევ კონფერენცია არ შეკრებილა, წინასწარ უკეთებენ დათმობებს თვითეულს ცალ-ცალკე: ავსტრიას, ოსმალეთს, გერმანიას და სხ. ამ გზით მათ სურთ ამ ქვეყნებში მოსკოვის ავტორიტეტი გაზარდონ, დიდ სახელმწიფოების გარეშე თვითოეულ მათგანთან თავისი საქმე გააკეთონ, ყველა ისინი ატლანტიკის, ბალკანეთის პაქტს, თუ ევროპის თავდაცვის ერთობლიობას დააშორონ, თავისუფალი ქვეყანათა საერთო ფრონტი მოშალონ და დაასუსტონ.

მაგრამ კრემლის მაკიაველური ტაქტიკა გაუგებარი არ დარჩა სხვებისათვის. მისმა „საზავო“ დიპლომატიამ და წინადადებებმა ოსმალეთის, იუგოსლავიის, თუ საბერძნეთისადმი, ყოველგან ამ ქვეყნებში მეტად მწვავე და მოსკოვის საწინააღმდეგო დიდი რეაქცია გამოიწვია.

ტიტომ განაცხადა: ელჩების გაცვლა-გამოცვლის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ რუსები ჩვენ ვერ მოგვატყუებენ და მათ არ ვენდობით. საბერძნეთის მთავრობის თავმჯდომარე პაპაგოსი კი 25 ივნისის სპეციალური კომუნიკეში ოსმალეთის და იუგოსლავიის სახელით აცხადებს, რომ სამივე სახელმწიფო ბალკანეთის პაქტის მტკიცე მომხრენი რჩებიან და მათ თანამშრომლობას, როგორც პოლიტიკური-სამხედრო სფეროში, ისე შეიარაღების საქმეში კიდევ უფრო გააძლიერებენ.

ყველაზე უფრო დიდი მარცხი მოსკოვს კი გერმანიაში მოუვიდა. კომუნისტური პარტიის პოლიტბიუროს 11 ივნისის დადგენილებით აღმოსავლეთ გერმანიაში სოვეტიზაცია შეჩერებული იქნა და პარტიას და მთავრობას ზოგი გაფრთხილებანი მიეცა. ამ დადგენილებით მოსკოვს უმთავრესად 2 მიზნის მიღწევა უნდოდა: შეენელებია გერმანიაში რუსების და კომუნისტების წინააღმდეგ ის აღშფოთება და სიძულვილი, რომელიც იქ სოვეტიზაციამ გამოიწვია; მეორე მხრივ 11 ივნისის დადგენილება საპროპაგანდოთ დასავლეთ გერმანიაშიდაც გამოეყენებია და იქ მომავალ სექტემბრის არჩევნებში კანცლერი ადენაუერი დაემარცხებია.

დესპოტიურ ქვეყნებში ცოტათი თავისუფლად გაქანებას ხშირად აფეთქებები მოყვება. 11 ივნისის დადგენილებას სულ მალე — 17 ივნისს — მოყვა საჯარო მასიური დემონსტრაციები მთელ აღმოსავლეთ გერმანიაში. დემონსტრანტების საწინააღმდეგოთ ქუჩებში საბჭოთა ჯარები გამოიყვანეს. შედეგი იყო ათეული მკვდრები და ასეული დაჭრილები.

17-18 ივნისს აღმოსავლეთ გერმანიაში მომხდარი ამბები დიდ ლახვარს სცემს ბოლშევიკების პროპაგანდას, როგორც საერთოდ გერმანიაში, ისე მთელ მსოფლიოში. ამ ამბებმა ნათლად აჩვენა ყველას, რომ ბოლშევიკები ატყუებენ მთელ ქვეყანას, როცა ამბობენ, ვითომც „რკინის ფარდის“ იქით მუშები სამოთხეში იმყოფებიან და თავისუფლად ცხოვრობენ. ეხლა ყველამ დაინახა, რომ მხოლოდ პოლიცია და საბჭოთა ჯარები იცავენ კომუნისტების ხელისუფლებას ხალხის ზიზღის და რისხვისაგან.

ამ დროებით კრემლის პოლიტიკამ სასტიკი მარცხი განიცადა გერმანიაში. მაგრამ მოსკოვს ეს მარცხი ვერ შეაჩერებს. მას კიდევ აქვს ხელში ერთი მეტად ძლიერი კოზირი, რომლის გათამაშებას, მოსალოდნელია, ის მომავალში მოიწადინებს. ეს არის პოლონეთის ეხლანდელი ტერიტორიის დასავლეთი ნაწილი, რომლის გერმანიისადმი უკან დაბრუნებით ის შეეცდება თავისი პროპაგანდა გააძლიეროს.

შემდეგი საერთაშორისო მოვლენების ამა თუ იმ მიმართულებით განვითარება ბევრად დამოკიდებულია იმიდან, თუ როგორი მომზადებით და შეგნებით შეხვდება კრემლის ფარულ ზრახვებით მოცულ სხვადასხვა წინადადებებს გერმანიის ხალხი და სხვა სახელმწიფოთა წარმომადგენლები.

კ. გვარჯალაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს კომუნისტურ პარტიაში

## II

წინა წერილში („მებ. საქ." № 12), ჩვენ საკმაოთ მოვიყვანეთ იმის მამხილებელი უდაო ცნობები, თუ როგორ გაკოტრდა იდეურათ კომუნისტური პარტია, როგორ მობეზრდა ეს „იდეა" თვით მის წევრებსაც და როგორ გაურბიან მას თავის საკუთარ წრეებშიაც კი.

ამ „იდეურ" გაკოტრების ნიადაგზე აღმოცენდა ის არევ-დარევა, რომელიც ასე ახასიათებს ამ პარტიის დღევანდელ მდგომარეობას და რომელიც ასე სახიფათოა მათთვის განსაკუთრებით დღეს, როცა სტალინის სიკვდილის შემდეგ, აღარ დარჩა ისეთი „ავტორიტეტი", რომელსაც შეეძლოს ამ „იდეური სიცარიელის ამოვსება. ამიტომ არის დღეს კომ. პარტიის ხელმძღვანელობა ასე შეშფოთებული, ასე აფორიაქებული. ოქტომბრის გადატრიალებით ზურგზე აკიდებული ძველი და ახალი ცოდვები მას არსად მოსვენებას არ აძლევს, გასაქანს უხშობს, იძულებულს ხდის ერთ ადგილას იტკეპნოს, პიროვნებები სცვალოს, სისტემა კი ხელუხლებელი დასტოვოს. ამითაა გამოწვეული ის „წმენდა"-ც, რომელიც ასე ფართოთ მოედო დღეს მთელ საქართველოს.

„წმენდა" კომ. პარტიაში არ ახალია, ძველია. ის ბევრჯერ ყოფილა და კიდევ იქნება თუ დასცალდა. მარა ასეთი ფართო წმენდა „უკლონიზმის" შემდეგ პირველათაა. დღევანდელი „წმენდა" არც ფორმით და არც შინაარსით არ ჰგავს წინანდელებს. წინანდელი „წმენდა" აღმოცენებული იყო პროგრამული პოლიტიკის გაგების, თუ მისი გატარების ნიადაგზე. დღევანდელი „წმენდა" კი ასეთ ხასიათს სრულიად მოკლებულია. დღეს პროგრამული დავა თუ სხვაგვარი ოპოზიცია თითქოს არსაიდან მოსჩანს, თითქოს ყველაფერი რიგზე იყოს, თითქოს არავითარი **შინაური** საშიშროება პარტიის „მონოლიტობას" და მის გალაღებულ ხელისუფლებას არ ემუქრება და... სრულიად მოულოდნელათ „წმენდა"! და მერე როგორი!

„წმენდა" დაიწყეს სათავიდან. ჯერ მოხსნეს ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი მგელაძე, შემდეგ ყველა საოლქო კომიტეტების მდივნები, შემდეგ ყველა საქალაქო და სასოფლო კომიტეტების მდივნები.

წინეთ „წმენდას" ასაბუთებდნენ ჯაშუშობით, გამცემლობით, მოღალატეობით, დივერსანტობით და სხვა ასეთი საშინელებებით. დღევანდელი „წმენდა" ყოველივე ასეთებისაგან თავისუფალია. მის ნაცვლათ წამოყენებულია — „მანკიერობა", „დოყლაპიობა", „უგულებელყოფა", „ზარმაცობა", „დაუდევრობა იდეური მუშაობისადმი", „არ ასრულება პარტიული დადგენილებების" და სხვ.

ხელმძღვანელთა ასეთი უდარდელობის წყალობით, მათი გადმოცემით, საქართველოს ყოფა-ცხოვრების ყველა სფეროში შეიქნა საშიშარი მდგომარეობა. ეს მდგომარეობა კი, მათი აზრით, შეიძლება საბედისწერო გახდეს, თუ „დროზე არ იქნა გამოსწორებული საქართველოს ერთგული შვილის ლავრენტი ბერიას მუშაობის სტილით". თუ რა „სტილია" ეს — ჩვენმა მკითხველებმა უჩვენოდაც კარგათ იციან.

აღსანიშნავია ისიც, რომ დღევანდელ „წმენდას" არავითარი ადმინისტრატიული სასჯელი არ მოყოლია, როგორც ეს იყო წინეთ; დაკმაყოფილდნენ მხოლოთ გადარჩევით.

იდეური გაკოტრება, იდეური სიცარიელე და რაც მთავარია, ამ იდეურობისადმი ყოველგვარი ინტერესების დაკარგვა, იმდენად ფართო და ღრმა აღმოჩნდა, რომ მარტო მდივნების მოხსნა საქმეს ვერ უშველიდა, რასაკვირველია, და აი შეუდგენ ფართო კონფერენციების მოწვევას: კონფერენცია ქალაქის და სოფლის ორგანიზაციების, კონფერენცია რაიონული, კონფერენცია საოლქო.

ეს კონფერენციები უნდა ჩატარებულიყო „კრიტიკის" და „თვითკრიტიკის" ლოზუნგით. გაიცა კიდეც სათანადო ბრძანებები. კრიტიკა, უეჭველია, დიდი რამაა. ის მეტად ძვირფასი იარაღია; ცხოვრების დუღილში და მის მუდმივი განვითარების პროცესში მას, უეჭველათ, დიდი ადგილი უჭირავს და დიდ როლს თამაშობს. ვერავითარი განვითარება წარმატებას ვერ მიაღწევს თუ არ არის აზრთა თავისუფალი ბრძოლა, თუ არ არის კრიტიკა. უდავოთ დამტკიცებულია, რომ სადაც არ არის კრიტიკა, იქ არ არის სისხლსავსე ცხოვრება.

მაგრამ კრიტიკაცაა და კრიტიკაც. ჭეშმარიტი კრიტიკის დამახასიათებელია მისი იდეურობა, სიმართლე, ობიექტობა, პრინციპიალობა, პირდაპირობა და გაბედულობა. ამიტომ არის

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ჭეშმარიტ კრიტიკას სჭირდება ფართო, თავისუფალი და გაშლილი ასპარეზი.

არის კი შესაძლებელი ასეთი კრიტიკა საბჭოთა სინამდვილეში? რასაკვირველია რომ არა. აქ კრიტიკა იწყება ბრძანებით, წინასწარ განსაზღვრულ ფორმულებში, ვიღაცას თვალის ასახვევათ, თუ ვინმეს თავიდან მოსაშორებლათ. ასეთ კრიტიკას, რასაკვირველია, არავითარი ფასი და ღირებულება არ აქვს. მაგრამ ის, რაც თუგინდ ასეთმა კრიტიკამ გვამცნო — იმდენათ საყურადღებოა ჩვენი ქვეყნის დღევანდელი ყოფა-ცხოვრების შესაცნობათ, რომ დარწმუნებული ვართ მკითხველი არ გვისაყვედურებს თუ ჩვენ მას ამას ცოტა უფრო ვრცლათ გავაცნობთ...

სანამ კონფერენციების მოწვევას შეუდგებოდენ — დაიწყო შესაფერი მზადება. „კრიტიკა და თვითკრიტიკა“ — გაჰყვიროდა ყოველდღე მოსკოვის ქართული ფურცელი „კომუნისტი“. „კრიტიკა ზევიდან, კრიტიკა ქვევიდან“ — ბანს აძლევდა პარტიის ცეკა. მარა გამოირკვა რომ ეს „კრიტიკა და თვითკრიტიკა“ თურმე დღემდისაც ყოფილა, მარა... მარა სჯობია მოუსმინოთ პროფესორ ბურჭულაძეს, რომელიც ახლა ასე გაბედულათ გამოდის დატყვევებული ბელადების ჩარკვიანის და მგელაძის წინააღმდეგ.

ცენ. კომიტეტის მდივნები ჩარკვიანი, მგელაძე და მათი ამყოლნი თვალის ასახვევათ მაღალფარდოვანი სიტყვებით გაჰყვიროდენ კრიტიკის და თვითკრიტიკის გაშლის აუცილებლობაზე, ხოლო საქმით სასტიკათ ახშობდენ მას, სდევნიდენ ყველას, ვინც გაბედავდა მათი მუშაობის მანკიერი სტილის მხილებას — გვარწმუნებს პროფესორი ბურჭულაძე. მგელაძის, ძმები ბალავაძეების, გეთიას და მათი „შინაკაცების“ ხელის შეწყობით, ცალკე ორგანიზაციებში ფართოთ გაიდგა ფესვები საპირადო ხმაურმა, მლიქვნელობამ და თავყასუალობამ. უხეშათ არღვევდენ და ამახინჯებდენ შინაპარტიული დემოკრატიის პრინციპს მუშაკთა დაშინებით და დევნით, ტლანქათ ახრჩობდენ ყოველ ცოცხალ აზრს, ეწეოდენ ურცხვილო თვითრეკლამას და თვითგანდიდებას, რამაც გამოიწვია მასებთან კავშირის შესუსტება და სხ. („კომ.“ 111).

რაკი ცეკას მდივნებმა ასე „ჩაალრჩვეს“ ყოველგვარი კრიტიკა — ახლა ამ ნაკლის გამოსწორება დაევალა კონფერენციების დელეგატებს. თუ რა მოგვცა ამ მხრით კონფერენციებმა, ამასაც ვტყობილობთ იმავე „კომუნისტიდან“

**სუხუმის საოლქო კონფერენცია.** მომხსენებელია მდივანი ოდიშარია. ცეკას მდივანი მგელაძე და სუხუმის საოლქო კომიტეტის მდივანი გეთია — ამბობს ის — ყველა მნიშვნელოვან საკითხებს სწყვეტდენ ერთპიროვნულად, ყურს არ უგდებდენ კოლექტივის აზრს, მკაცრად უსწორდებოდენ იმათ, ვინც მათ ნაკლულოვანობას ამხილებდა, ყოველ მხრივ ახშობდენ კრიტიკას და თვითკრიტიკას, ანაწილებდენ კადრებს პირადი ერთგულობის მიხედვით. ასეთი პირები ყოველმხრივ ბაძავდენ რა მგელაძეს და გეთიას — იჩენდენ აშკარა უხეშობას, ადმინისტრატორობას, ყურს არ უგდებდენ მასების ხმას. ამხ. ოდიშარიას მოხსენება — ამბობს მეორე დელეგატი — იყო კრიტიკული, მარა, არ იყო თვითკრიტიკული. ოდიშარიამ არაფერი სთქვა იმაზე, თუ როგორ ირღვეოდა პარტ. ორგანიზაციებში შინაპარტიული დემოკრატია. არ იდგა იდეოლოგიური მუშაობა მოწოდების სიმაღლეზე და სხ. იდეოლოგიურ მუშაობას ძალიან ბევრი ნაკლი აქვს, ამბობს დელეგატი ლორთქიფანიძე. კომიტეტის ლექტორთა ჯგუფს არ გააჩნდა სამუშაო გეგმა, ზოგიერთი ლექტორი ლექციებს დაბალ დონეზე კითხულობს. სრულიად არადამაკმაყოფილებლად მუშაობს პროპაგანდისტთა მუდმივი სემინარია. კომიტეტის მდივანი ჩაგუნავა უსულგულო დამოკიდებულებას იჩენს კომუნისტების სიგნალებისადმი მიმართ და სხ.

აფხაზეთის ასსრ. დამცველთა თავმჯდომარე გერსამია: მგელაძე და გეთია უხეშად ერეოდენ სასამართლო ორგანოების მუშაობაში. აფხაზ. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, მისი მოადგილე, პროკურორი, იუსტიციის მინისტრი, უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე და პარტიის საოლქო კომიტეტის ადმინ. განყ. გამგე ვ. მარღანია უხეშად არღვევდენ საბჭოთა კანონიერებას, ზოგჯერ ხელს აფარებდენ დამნაშავეებს და სხ.

დელეგატებმა სასტიკათ გააკრიტიკეს საოლქო გაზეთები „საბჭ. აფხაზია“ და „საბჭოთა აფხაზეთი“, რომელთა ფურცლები მთლიანად დათმობილი ქონდა მგელაძისა და მის ამყოლთა დაუმსახურებელ შექებას და მლიქვნელობის ფაქტებს“-ო და სხ.

კონფერენციამ გადააყენა კომიტეტის მთელი შემადგენლობა და აირჩია ყველა ახალი („კომ.“ № 112).

**თფილისის ბერიას რაიონის კონფერენცია.** ყველა დელეგატი აკრიტიკებს რაიკომის პროპაგანდა-აგიტაციის განყოფილებას, რადგან ის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყურადღებას არ აქცევს მეცადინეობის ხარისხსო, ლექტორთა და მომხსენებელთა ჯგუფების წევრები იშვიათად გამოდიან მშრომელთა წინაშე კვალიფიციური ლექციებით. მომხსენებელთა ჯგუფიდან, რომელშიდაც 27 კაცი შედის — მხოლოდ ათს აქვს წაკითხული მოხსენება. საქ. მეც. აკადემიის დელეგატი პრეზიდენტი მუსხელიშვილი ამბობს, რომ „მგელაძე და ბალავაძე მიმართავდნენ მეცნიერ მუშაკთა დაშინებას"-ო. რესპ. პარტ. სკოლის დირექტორი ს. ლორცეულიანი: ცენტ. კომ. ბიურომ ისე განიხილა ფილოსოფიის ინსტიტუტის ყოფილი დირექტორის ს. წერეთლის საქმე, რომ არაფერი არ ჰკითხა ფილოსოფიის არც ერთ სპეციალისტს. დელეგატი ს. ჭილაია: ქართველმა მწერლებმა ჯერ კიდევ ვერ შექმნეს ეპოქის შესაფერი დიდი ნაწარმოები, ჩამორჩებიან განსაკუთრებით მწერლობის ისეთი დარგები, როგორიცაა პროზა, დრამატურგია, ლიტერატურული კრიტიკა. ყოფილმა მდივანმა ჩარკვიანმა ქართველი ხალხის კულტურული მტერი ჩვენი პარტიისათვის უცხო ადამიანს, რ. შადურს, გადააბარა. შადური ავიწროებდა და სდევნიდა მწერლებს. მგელაძე მიმართავდა მწერლების დაშინებას და სხ. დელეგატი ჩინჩალაძე და ქურციკიძე აცხადებენ, რომ რაიონული კომიტეტი ყურადღებას არ აქცევდა, როცა თეატრალური ინსტიტუტის, საჯარო ბიბლიოთეკის და ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს პარტ. ორგანიზაციებში მოუმზადებლად ეწყობოდა პარტიული კრებები, საკითხების განხილვაში მონაწილეობას არ იღებდა ფართო აქტივი, მთელ რიგ შემთხვევებში არ სრულდებოდა პარტიული დადგენილებანი და სხ.

სასტიკათ აკრიტიკებენ საბჭოთა ორგანოების საქმიანობას დელეგატი ხომერიკი და ნარჩომაშვილი.

კონფერენციამ გადააყენა რაიკომის მთელი შემადგენლობა და აირჩია ახალი („კომ." 112).

**ლაგოდეხის რაიონული კონფერენცია.** ლაგოდეხის რაიონმა გასული წელი დიდი ჩამორჩენით დაასრულა. ვერ შეასრულეს ვერც ხორბლის, ვერც სიმინდის, ვერც მზის უმზირას და ვერც თამბაქოს მოსავლიანობის გეგმა. ჩამორჩენილია მეცხოველეობაც. ამის შესახებ ვრცლად ილაპარაკა რაიკომის მდივანმა ბერიანაშვილმა და გეგმების შეუსრულებლობა ცუდი კლიმატური პირობებით ახსნა. სამწუხაროთ — ამბობს ერთი დელეგატი — რაიკომი ნაკლებ ყურადღებას აქცევს პარტიული ჯგუფების აქტივობას. სოფ. შრომის კოლმეურნეობაში შექმნილია 7 პარტიული ჯგუფი, მაგრამ ისინი ქაღალდზედ არსებობენ. 1952 წლიდან ზოგიერთი ჯგუფი დღემდე ერთხელაც არ მოუწვევიათ. პარტ. ჯგუფის ხელმძღვანელობამ არც კი იცის, რამდენი წევრია მის ჯგუფში. რაიონული კომიტეტის მოვალეობაა ყოველგვარი დახმარება გაუწიოს ამ ჯგუფებს, ამაღლოს მათი როლი და სხ.

კონფერენციამ გადააყენა მთელი ძველი შემადგენლობა და აირჩია ახალი („კომ." № 112).

**თფილისის კიროვის რაიონის კონფერენცია.** რაიკომს ცოცხალი კავშირი არ აქვს საწარმოებთან, მისი წევრები — საყვედურობენ დელეგატები — იშვიათად დადიან საწარმოებში, არ ესაუბრებიან ოსტატებს, სტახანოველებს; პარტიულ ორგანიზაციების კრებების ოქმები რაიკომში იგზავნება ფორმალურად; მათ იქ არავინ არ კითხულობს, არავინ უკეთებს ანალიზს. კომუნალური განყოფილება და საბინაო სამმართველო ყურადღებას არ იჩენენ მშრომელთა საჩივრებისადმი. დელეგატი ფინენკო ამბობს, რომ „რაიონში საგრძნობი ნაკლოვანებაა მოსახლეობისათვის წყლისა და ელექტრო ენერგიის მიწოდების საქმეში"-ო.

კონფერენციამ გადააყენა ძველი რაიკომი და აირჩია ახალი („კომ". № 114).

**გორის რაიონის კონფერენცია.** მომხსენებელია რაიკომის მდივანი რთველიაშვილი. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ „ვერც ერთი სასოფლო - სამეურნეო კულტურის მოსავლიანობის გეგმა ვერ შესრულდა. ჩამორჩენა იყო მეხილეობაშიაც". რაიკომის პროპაგანდის და აგიტაციის განყოფილება არადამაკმაყოფილებლათ მუშაობს — ამბობს მეორე დელეგატი. სუსტათ ხელმძღვანელობენ კომ. პოლიტიკურ სწავლას. ხიდისთავის და შავშვების პოლიტსკოლების პროპაგანდისტებათ დამტკიცებულ იქნენ ამ საქმისათვის შეუფერებელი პირები — აღნიშნავს მექაძე. მასობრივ - პოლიტიკური მუშაობა ბევრ ადგილას ჩაშლილია — საყვედურობს მეოთხე. აგიტატორები საუბრებს არ მართავენ, პარტიულმა ორგანიზაციებმა ეს მუშაობა დაივიწყესო და სხ.

გადაყენებულ იქნა მთელი შემადგენლობა და აირჩიეს ახალი („კომ." № 114).

**თფილისის ორჯონიკიძის რაიონის კონფერენცია.** ამ რაიონში თავმოყრილია 15-მდე „სამე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი“. ამიტომ აქ კონფერენციაზე ლაპარაკი იყო უმეტესათ უმაღლეს სასწავლებლებში შექმნილ მდგომარეობაზე. დელეგატებმა აღნიშნეს ინსტიტუტების მუშაობაში „სერიოზული ნაკლოვანებანი“ და მის ძირითად მიზეზათ დაასახელეს „სამეცნიერო დაწესებულებებში დაბალი იდეოლოგიური მუშაობის დონე“. კონფერენციის დელეგატებმა გადაჭრით დაგმეს მგელაძის და ბალავაძის მეცნიერი მუშაკებისადმი „ხულიგანური დამოკიდებულება“, რომელთაც „ნამდვილი ლაშქრობა მოაწყვეს უმაღლესი სასწავლებლების და სამეცნიერო ინსტიტუტების წინააღმდეგ“-ო. თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანი ბალავაძე — ამბობს ერთი დელეგატი — მეცნიერ მუშაკებს, ხშირად შეურაცხყოფას აყენებდა, მათ შრომებს ანტიმარქსისტულათ აცხადებდა ისე, რომ ეს შრომები არც კი წაუკითხავს. ასე მოექცა ის მაგ. დოცენტებს წერეთელს, ფრანგიშვილს, პროფესორებს — ბაქრაძეს და ლორთქიფანიძეს. რაიონული კომიტეტი — ამბობს სამეურნეო ინსტიტუტის კომიტეტის მდივანი დანელია — ნაკლებათ იყო დაინტერესებული სასწავლებლის ცხოვრებით. სერიოზული ნაკლოვანებებია სტუდენტთა შორის შეგნებული დისციპლინის განმტკიცების და კულტურული ჩვევების დანერგვის საქმეში. უკანასკნელი წლის მანძილზე ინსტიტუტიდან გარიცხა 130, ხოლო სასჯელი დაედო 400-ზე მეტ სტუდენტს. უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის სემინარიაში გაერთიანებული ამხანაგები არ მუშაობენ თავისთავზედ, იშვიათად ესწრებიან მეცადინეობას. ფსიქოლოგიის სამეც. საკვლევი ინსტიტუტის დირექტორი ფრანგიშვილი ამბობს, რომ ფსიქოლოგიაში მიღწევები უფრო მეტი გვექნებოდა, ცეკას და თბილისის კომიტეტის ხელმძღვანელობას რომ არ შეეფერხებია ამ დარგის მუშაობა. რაიკომის მდივანი ვასაძე შენიშნავს, რომ ზოგიერთი ლექტორი უარს ამბობს დაეხმაროს სტუდენტობას თეორიული კონფერენციების ჩატარებაში. ვერ დააკმაყოფილა კონფერენცია ვერც უნივერსიტეტის მარქს-ლენინის კათედრის გამგის ებანოიძის გამოსვლამ. ეს კათედრა ცუდათ ეხმარება სტუდენტებს მარქს-ლენინის თეორიის დაუფლებაში — ამბობს ისტორიის ფაკულტეტის პარტ. ბიუროს მდივანი ჯაბიძე. ის ფაქტი რომ უნივერსიტეტში სუსტათ არის დაყენებული იდეოლოგიური მუშაობა აიხსნება ამ კათედრის სუსტი საქმიანობით. მეცნიერ მუშაკთა შორის გაშლილი არაა კრიტიკა და თვითკრიტიკა. პარტიული კომიტეტის ინიციატივით აქას წინათ მოეწყო პროფესორ ბაქრაძის წიგნის „ლოღიკა“-ს განხილვა, მაგრამ ეს განხილვა მეცნიერ მუშაკთა შორის კინკლაობის და უპრინციპო ანგარიშების გასწორების დემონსტრაციათ გადაიქცა და სხ. და სხ.

ყოველივე ამის გამო გადაყენებულ იქნა ძველი შემადგენლობა სრულიად და აირჩიეს ახალი („კომ.“ № 113).

**ჭიათურის რაიონის კონფერენცია.** ამ კონფერენციას „კომუნისტი“ ძალიან ცოტა ადგილს უთმობს, რადგან, როგორც ჩანს, არ არის კმაყოფილი კრების მსვლელობით. ამ კონფერენციაზე — სწერს მისი კორესპონდენტი — მოხსენება გააკეთა რაიკომის მდივანმა აბესაძემ, რომელმაც მხოლოთ მოკლეთ და გაკვრით აღნიშნა ნაკლოვანებანი, სათქმელი კი გაცილებით მეტი იყოვო. არც დელეგატების გამოსვლა აკმაყოფილებს კორესპონდენტს. მოხსენების გამო — სწერს ის — კამათში გამოვიდა 14 ამხანაგი, მაგრამ ყველა ისინი ძირითად სამეურნეო საქმიანობაზე ლაპარაკობდენ და არაფერს ამბობდენ რაიკომის სერიოზულ იდეურ ნაკლოვანებებზე. ვერ გაბედეს კრიტიკა რაიკომის მიმართ, რაც კონფერენციის სერიოზული ნაკლია-ო და სხ. („კომ“ №113).

აქაც გადააყენეს ძველი შემადგენლობა აირჩიეს ყველა ახალი.

**თბილისის 26 კომისარის რაიონის კონფერენცია.** არც ამ კონფერენციით არის კმაყოფილი „კომუნისტი“. ეს კონფერენცია — სწერს მისი თანამშრომელი—უფრო მეტად სამეურნეო მუშაკთა თათბირს წააგავდა, ვიდრე პარტიულ კონფერენციას. ყურადღების ცენტრში პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა კი არ იყო, არამედ რაიონის სამეურნეო საქმიანობა. სამწუხაროთ ასე იქცეოდენ არა მხოლოდ მომხსენებლები და სამეურნეო მუშაკები, არამედ პარტიული მდივნებიც. დელეგატებმა გააკრიტიკეს რაიკომის მდივნები, იმისთვის რომ ისინი ახლოს არ დგანან პარტიულ მასებთან, საქმიან დახმარებას არ უწევენ პირველად ორგანიზაციებს. ქართველმა ხალხმა სიხარულით გაიგო — ამბობს მარგარინის ქარხნის დირექტორი მოისწრაფეშვილი — რომ არავითარი ეგრეთ წოდებული ნაციონალური ჯგუფი არ არსებობს საქართველოში და რომ ეს, როგორც ახლა გამოირკვა, ანგარე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის ბიზნისათვის შეთითხნეს პარტიისა და ხალხის მტრებმა რუხაძემ და კარიერისტმა მგელაძემ და სხ.

კონფერენციამ აირჩია რაიკომის ახალი შემადგენლობა („კომ“ № 113).

ასე ჩატარდა კონფერენციები ყველა ოლქში და ქალაქებში და ყველგან ძველები სავსებით გადააყენეს და აირჩიეს ახლები. 25 მაისისათვის დანიშნული იყო პარტიის საერთო ყრილობა, მაგრამ რატომღაც გადაიდო.

ამ მიმოხილვის შესავსებათ არ იქნება ზედმეტი მოვიყვანოთ რამდენიმე ცნობა მდივნების ჩარკვიანის და მგელაძის შესახებ, რომლებიც ახლა გამოცხადებულია კომ. პარტიის ყოველგვარი უბედურებათა უმთავრეს მიზეზათ.

ჩარკვიანი დიდხანს იყო ცეკას პირველი მდივანი. როცა ის გადააყენეს — მის ნაცვლათ აირჩიეს მგელაძე. დიდი და ფართო პროგრამით გამოვიდა მაშინ ის ცეკას პლენუმზე. სადაც ბრალს სდებდა ჩარკვიანს სწორეთ ყველა იმ ცოდვებში, რაშიდაც ახლა მას თვითონ ასამართლებენ.

მგელაძე კიდევ ორიოდე თვის წინეთ მეტად პოპულიარული პიროვნება იყო. უკანასკნელ არჩევნებში (ამა წლის თებერვალში) ის მეოთხეთ არის საარჩევნო სიაში. სტალინი, ბერია, მალენკოვი, მგელაძე. კიდევ მეტი. ყველა ადგილიდან სთხოვდენ საგანგებო დელეგატების პირით, რომ მას კენჭი ეყარა მათ საარჩევნო ოლქში.

მოვიყვანოთ ისევ „კომუნისტს“. 22 იანვარს კიროვის სახელობის ქარხნის კლუბში შესდგა საარჩევნო კრება. საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე დ. გოგოლაძემ დამსწრეთ აცნობა, რომ ცეკას პირველმა მდივანმა მგელაძემ თანხმობა განაცხადა კენჭი ეყაროს დეპუტატობაზე ჩვენი რაიონის საარჩევნო ოლქში. ამ ცნობას დამსწრენი მქუხარე ტაშით შეხვდენ. სხვა და სხვა ქარხნების დელეგატებმა განაცხადეს, რომ რაკი ამხ. მგელაძემ ასეთი პატივი სცა ჩვენ რაიონს, — ეს გვავალებს უკეთესათ ვიმუშაოთ და კიდევაც პირობას ვსდებთ რომ უკეთესათ ვიმუშავებთ და სხ. („კომ.“ №19).

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში შემდგარი კრება გახსნა პროფესორმა ჩიქოვანმა,— ვკითხულობთ იმავე „კომუნისტ“-ში — და სიტყვა მიეცა საქ. მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს აკადემიკოსს ნ. მუსხელიშვილს, რომელიც ამბობს: საქარ. საბჭოს დეპუტატობის კანდიდატათ ვასახელებ საქ. ცეკას პირველ მდივანს ა. მგელაძეს. ჩვენ მოწამენი ვართ — განაგრძობს ის — თუ როგორ აღადგენს ის ამხ. ბერიას მიერ დანერგილ მუშაობის სტალინურ სტილს. ჩემი წინადადებაა ვთხოვოთ ამხ. მგელაძეს კენჭი იყაროს ჩვენს საარჩევნო ოლქში.

ამხ. მგელაძის დამსახურება ქართველი ხალხის წინაშე ყველა ჩვენგანისათვის ცნობილია— ამბობს აკადემიის ნამდვილი წევრი ა. ჯანელიძე. ჩვენ ერთსულოვნათ მივსცემთ მას ხმას. კრებამ დაადგინა სთხოვოს ა. მგელაძეს იყაროს კენჭი ამ საარჩევნო ოლქში („კომ.“ №21).

მგელაძის თანხმობა დიდ ბედნიერებათ ჩასთვალა აგრეთვე გომრეთის კოლმეურნეობამაც და საგანგებო დელეგაციის საშვალებით სთხოვა მას კენჭი ეყარა გომრეთის საარჩევნო ოლქში.

ყოველივე ეს იყო ამა წლის იანვარში. 22 თებერვალს მოხდა თვით არჩევნები და მგელაძეც არჩეული იქნა, რასაკვირველია, პირველ რიგში. მარტში კი ის დაიჭირეს.

რა მოხდა? ამ ბნელი საქმეების ლაბირინტში გარკვევა არც ისე ადვილი საქმეა. მარა ერთი კი უდაოა: რამდენათ უფრო ჩქარა მოაშორებენ ქართველ ხალხს ყველა ამ მდივნებს და მათ კომიტეტებს — მით უკეთესია...

⁂

საქართველოს კომუნისტური პარტიის მეთაურობას ერთი სადღეგრძელო კიდევ დაემატა. მათ წინდაუხედავათ და თავადური ხელგაშლილობით დახარჯეს ყველა ის საქებ-სადიდებელი სიტყვები, რომლებიც ქართულ ლექსიკონში მოიპოვება და ყველა ის სტალინს მიუძღვნეს. ახლა კი ასეთი სიტყვები სჭირდებათ ბერიასათვის, მარა აღარ არის; სტალინზე მიძღვნილის განმეორება კი შეუძლებელია და არის ერთი თავის ტეხა, მარა ჯერ უკეთესი ვერ მონახეს, ვინემ ასეთი: ლენინის ნიჭიერი მოწაფე, სტალინის თანამებრძოლი, კომუნისტური პარტიის და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწე ლავ. ბერია. ცოტა გრძელია, მარა სამაგიეროთ ბერია ძალიან ამაღლებულია. უწინ იყო სტალინის მოწაფე, ახლა არის ლენინის; უწინ იყო სტალინის აღზრდილი, ახლა არის—მისი თანამებრძოლი. ძალიან მალე, ალბათ, კიდევ უფრო აამაღლებენ, ლენინის თანამებრძოლათ გახდიან და შეიძლება მის გვერდშიაც მოათავსონ...

დასასრულ ერთი პატარა პროზა-პოეზია:

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რას მეტყველობს ისტორია?

პატარა ერის ისტორია — მუდმივი ტრაგედია იყო ის ან ეკონომიურად, ან პოლიტიკურად განიცდიდა რომელიმე დიდი სახელმწიფოს გავლენას, ხშირად მეტად მწვავეს და საბედისწეროს. პოლიტიკურად დაპყრობილს — გადაჭრილი ჰქონდა მისი ეროვნული საარსებო ორგანიზმის უმთავრესი ძარღვი. ერი ილანძღებოდა ეკონომიურად, პოლიტიკურად, მორალურად და ფიზიკურად...

მოწინავე აზრი, მუდამ ებრძოდა, როგორც პატარა ერთა დაპყრობას, ისე ადამიანთა უფლების შეკვეცის პოლიტიკას — თუ რეჟიმს... საფრანგეთის დიდი რევოლუცია, რომელიც არ არის დამთავრებული — განსაკუთრებით ადამიანის უფლებათა აღდგენის მხრით, რაც შთაბერა იმ დროის ეპოქას რუსომ, ვოლტერმა, დიდრომ და სხვა მე-18 საუკუნის ენციკლოპედისტებმა, დღესაც უამრავ მასალებს იძლევა იმისა — თუ როგორი სულის კვეთება და ნაყოფიერი მოძრაობა გამოიწვია ადამიანის ღირსების აღდგენის თუ ერთა განვითარებისათვის გადასროლილმა იდეებმა. რა თქმა უნდა, თუ ბევრი გაკეთდა, ბევრიც უშედეგოდ დარჩა — ბრძოლა ამ იდეათა განხორციელებისათვის — დღესაც შეუჩერებლად გრძელდება...

სანამ ეკონომიური და პოლიტიკური წონასწორობა იქნება უმთავრესი მამოძრავებელი ღერძი დიდ სახელმწიფოთა დამოკიდებულებაში, რა თქმა უნდა, რომ ძალა მუდამ დარჩება ალმართის მხვნელად, და უმთავრეს შემთხვევაში, უსამართლობის წყაროდ.

საფრანგეთის რევოლუციამ იმედით და ნუგეშით აღავსო დაჩაგრულ ერთა გული, მათ მისწრაფებებს ფრთები შეასხა და აამოძრავა. ესენი მოუთმენლად ელოდენ შესაფერ დროს ეროვნულ-თავისუფლების აღსადგენად თუ მოსაპოებლად: ამ რიგად სერბია იბრუნებს დამოუკიდებლობას 1812 წ., საბერძნეთი 1829 წ., ადრიანაპოლის ხელ-შეკრულობით; ბულგარია სანსტეფანოს ხელშეკრულებით 1868 წ., რუმინია ბერლინის ხელ-შეკრულებით 1879 წ. ამ პატარა ერთა განთავისუფლებაში დიდი როლი ითამაშა აგრეთვე წონა-სწორობის საკითხმა. დიდი სახელმწიფოების მიზანი იყო ოტომანის იმპერიის დასუსტება როგორც პოლიტიკურად ისე ეკონომიურად, ამ ქვეყნების ჩამოშორებამ მისი სიძლიერე დიდათ დასწია... ადამიანის უფლებათა დაცვის იდეას მიეწერება ამერიკის შეერთებულ შტატების სამხრეთ და ჩრდილოეთ დაჯგუფებათა შორის ომი, რის შედეგიც (ჩრდილოეთის ნაწილის გამარჯვება სამხრეთისაზე) იყო მონობის მოსპობა...

შეიძლება ითქვას, რომ მეცხრამეტე საუკუნის ომები, უფრო სათათრეთის იმპერიის განადგურების თუ არა დიდათ დასუსტების, ლოზუნგით ხდებოდა... მეოცე საუკუნის პირველმა დიდმა ომმა, რომელიც მიმართული იყო აგრეთვე გერმანიის ძლიერების წინააღმდეგ, ოტომანის იმპერია, როგორც ასეთი, სრულიად გაანადგურა. იმპერიის ნანგრევებზე აღმოცენდა 6 თუ 7 არაბთა სახელმწიფო. მიუხედავად ამისა, სათათრეთი დღესაც არ არის თავის ეთნოგრაფიულ საზღვრებში... მეორე დიდმა ომმა წარმოშვა შორეულ აღმოსავლეთში სახელმწიფონი, რომელთა უმეტესი ნაწილის სახელები მხოლოდ გეოგრაფებმა და ეთნოგრაფებმა თუ იციან. სამწუხაროდ ეს ჩვენთვის გამამხნევებელი ამბები ცეცხლისა და მახვილის შედეგია, უმსხვერპლოდ-უსისხლოდ არა კეთდება რა;

---

„ალაზანი ადიდებულა, ნაპირებიდან გადმოდის, რიყეები აუვსია, ჭალებში გადმოსულა. შარა გზებზე ავტომობილები ცოქრიან, ურმები მოჭრიალებენ. ალაზანზე გადაისვლება? ბორანი მუშაობს? — კითხულობს ხალხი. ორივე მხარეს, სადაც ბორანი მუშაობს დაგროვილია ხალხი. გადი, კაცო, გაგვიყვანე — ეუბნებიან მებორნეს. მებორანე უარზეა, რადგან იცის, რომ ალაზანი ბორანს მოსწყვეტს და მოიტაცებს. რა კარგი იქნება ამ ალაზანზე ერთი ხიდის აშენება! უკმაყოფილოთ გაიძახიან მგზავრები, რომლებსაც საქმიანობა აიძულებთ მალე გავიდენ ალაზანზე. ალაზანზე ხიდის აშენება გადაუდებელია" — მოითხოვს „კომუნისტ"-ის თანამშრომელი ვინმე ზედგინიძე. („კომ." № 110).

პატარა ამბავია, მარა ფრიად დამახასიათებელი. ყურები გამოგვიჭედეს გიგანტებით გავავსეთ ქვეყანაო და ასეთ საშიშარ ადგილზე ხიდიც ვერ გაუკეთებიათ, რომ ხალხი დახრჩობას გადაარჩინონ. ან კი რა ეჩქარებათ: მათ მიერ შექმნილ „კომუნისტურ სამოთხეში" ბორანითაც დროზე მივლენ..

გრ. ურატაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთელი ამოცანა იმაში მდგომარეობს, განსაკუთრებით პატარა ერისათვის, რომ რაც შეიძლება ნაკლები მსხვერპლით იქნეს მოპოვებული მაქსიმუმი დასახული მიზნის,—**ერის თავისუფლება...** ეს პრობლემა თხოულობს უდიდეს ყურადღებას, ვინაიდან ჩვენში მძვინვარებს კოლოსი, რომელსაც უკავია დღეს მეხუთედი ნაწილი მთელი მსოფლიოსი და გაცილებით მეტი, თუ ჩავთვლით ჩინეთს, რომელიც თუ მისი სატელიტი არ არის, იმყოფება მისი უტყუარი გავლენის ქვეშ...

ამ უდიდესი ძალის წინააღმდეგ დღეს ირაზმება მთელი ანტიბოლშევიკური მსოფლიო, ძლიერი ამერიკის ხელმძღვანელობით....

საბჭოების ასე გაძლიერებას დიდათ შეუწყო ხელი იალტის კონფერენციაზე მომხდარმა შეთანხმებამ. რუზველტი, დაშინებული იაპონიით, მოითხოვდა სტალინიდან ამ უკანასკნელის წინააღმდეგ გალაშქრებას—ამის საფასურად სტალინმა მიიღო ის, რაც დღეს ხელში უკავია. რუსეთი დარჩა ყველაზე მეტად მოგებული ამ ომში — როგორც დასავლეთში ისე აღმოსავლეთში. მან მიისაკუთრა მრავალი ტერიტორია და მოსახლეობა (112 მილიონი); რუზველტმა მიიღო სტალინისაგან თანხმობა სამ საკითხზე, რაც მას ყველაზე უფრო აინტერესებდა: 1) **O. N .U.** მოწყობა; 2) ნაცისტებიდან განთავისუფლებული ევროპის ერების აღდგენა დემოკრატიული რეჟიმით და 3) იაპონიისათვის ომის გამოცხადება. როგორ შეასრულა სტალინმა ეს დაპირებანი, რომლის საფასურად მან ნახევარი ევროპა და დიდი ნაწილი აზიის ხელში ჩაიგდო, ეს ყველამ იცის: **O. N. U.** დაარსდა, მაგრამ ის ჯამბლა დაცემულია ვეტოს უფლების წყალობით, რასაც რუსები ყოველ-წამს მიმართავენ. ევროპის განთავისუფლებული ერები (პოლონელები, ჩეხები, უნგრელები, ბულგარელები, ალბანელები) თვითონ გადაყლაპა, ხოლო იაპონიას ომი მაშინ გამოუცხადა, როდესაც იგი უკვე მზად იყო იარაღი დაეყარა. აქედან ცხადია თუ რა ღირებულება აქვს საბჭოთა დაპირებას. რუზველტი კი დარწმუნებული იყო იალტის კონფერენციის დიდ და ქვეყნის მხსნელ მიღწევებში, ამ ჰუმანიზმის წარმომადგენელმა, რა იცოდა მაშინ რომ მის წინ იდგა გაათკეცებული მაკიაველი!..

ამ შეცდომას დღეს მწვავედ განიცდის ყველაზე უფრო ევროპა და საერთოდ მთელი მსოფლიო...

მკითხველისათვის საინტერესო ის არის, თუ დღევანდელ მდგომარეობასთან დაკავშირებით, რაზე უნდა ამყარებდეს ქართველი მებრძოლი თავის მისწრაფებათა განხორციელების იმედებს; როგორი უნდა იყვეს გეგმა მუშაობის, ვისთან ვიქნეთ, გარკვევა მისა თუ ვისგან და რისგან უნდა მოველოდეთ ხსნას ჩვენი დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხში... თუნდაც მოკლედ მიმოხილვა ჩვენი ერის ისტორიის, არის ბევრის მაუწყებელი, ყველაზე უფრო კი იმის, რომ მისი პოლიტიკა მუდამ ნაკარნახევი იყო მისი რიცხვისა და გეოგრაფიის მიხედვით; ცოტას გამოკლებით შეიძლება ითქვას, მუდამ სისხლისა და ცრემლში სცურავდა; მისი მიწა-წყალი ითელებოდა საუკუნეთა გასწვრივ აღმოსავლეთ თუ დასავლეთის დამპყრობელთაგან: რომაელები, არაბები, ბერძნები, მონგოლები, თათრები, სპარსელები და ირგვლივ მყოფი მუსულმანთა მოსახლეობაც კი ანადგურებდენ ჩვენს კერას და სიცოცხლეს; მიუხედავათ ამისა მან თავისი ეროვნული სახე ამ საშინელი ისტორიის ქარტეხილიდან გადაარჩინა; ეს მიეწერება არა მარტო მის ვაჟ-კაცობას, თავ-განწირულებას, არამედ უფრო მის უტყუარ პოლიტიკურ ნიჭს, არსებული პირობებიდან ნაკარნახევს... მაგომეტ-ხანის შემოსევამ და კრწანისის ველმა გადასწყვიტეს საქართველოს ბედი მრავალი წლებით... მოხუცმა მეფე ერეკლე მეორემ, ირჩია ნაკლები უბედურება — ქვეყნის გადასარჩენად ქართველი ერის მფარველობა ჩააბარა ერთმორწმუნე რუსეთს, მიუხედავად აუტანელი რუსიფიკატორული პოლიტიკისა და ხელ-შეკრულების უნილატერალურად გაუქმებისა, რასაც მოჰყვა მრავალი აჯანყებები.—ერთი დადებითი მხარე მაინც ჰქონდა რუსეთის ჩვენში შემოსვლას. იმ დროს, ქუთაისის გუბერნიაში ოთხაათასი კომლი იყო და შედარებით მეტი თბილისის გუბერნიაში — მრავალ მილიონიანი ერი ამ რიცხვზე დავიდა მუდმივი, შეუჩერებელი ომებით. რუსების შემოსვლამ ისტორიული მტრები შეაჩერა, ხალხმა მოისვენა, რიცხვობრივად გაიზარდა. ერის შემოქმედებამ ფრთები გაშალა, კერა გაალვივა—ერის უნარი და ნიჭი შინაური განვითარების და აღორძინებისაკენ გაექანა. რამაც დიდათ შეუწყო ხელი სხვათა შორის, სიტყვა-კაზმული მწერლობის საუკეთესო ნიმუშების წარმოშობას. აი, როგორი იყო

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქ ა რ თ ვ ე ლ ი   ქ ა ლ ი   ჩ ვ ე ნ ს   მ ა ტ ი ა ნ ე შ ი

ქართული ეროვნული ვინაობის და კულტურის განვითარებაში ქართველ ქალს შესანიშნავი ადგილი აქვს მიკუთვნებული. მისი კვალი ქართულ ისტორიის გასწვრივ ნათელი და წმინდაა. ქართველმა ერმა ყველაზე უფრო მაღალი მწვერვალები თავისს ისტორიულ გზაზე ქალების სახელს დაუკავშირა. — მისი რაობის უმაღლესი გამომჟღავნება მოხდა ჯერ მეოთხე საუკუნის დასაწყისს ქრისტიანულ-ჰუმანიურ კულტურასთან ზიარებით და შემდეგ მეთორმეტე საუკუნეში — მისი პოლიტიკური და კულტურული აყვავებით, რასაც მან „ოქროს ხანად“ მონათლა. აი, ამ ორ შესანიშნავ ეპოქას ის ორი ბრწყინვალე ქალთა სახელებს უკავშირებს: ნინოს და თამარს.

თითქოს სიმბოლიურია ის გარემოებაც, რომ ამ ოქროს ხანაში ქართველი ერის სიამაყის — შოთას მიერ შექმნილი უკვდავი „ვეფხის ტყაოსანი“ ხალხს თამარისადმი ხოტბად მიძღვნილ პოემად მიაჩნია, ხოლო თინათინის და ნესტან-დარეჯანის განსახიერებაში ის ხედავს ქართულ, ეროვნულ უმაღლეს და უკეთილშობილეს თვისებათა გამოვლინებას. ამრიგად, თავისი შემოქმედების შედევრი, მხატვრული გენია და მაღალი ფილოსოფიური ეთიკა საქართველომ ქალის სახელს დაუკავშირა.

ეს ფაქტები თავის თავად ბევრის საგულისხმოს მეტყველებენ და უფლებას გვაძლევენ აღვიაროთ, რომ მართლაც ძვირად თუ მოიპოვება ისეთი ერი, რომელსაც ქალის კულტი ასე მაღლა აეყვანოს და ასეთის დიდებით გამოესახოს მთელს თავის ისტორიის გზაზე.

სასაკვირველია, ამ უცნაური მოვლენის ანალიზი და მისი ნამდვილი მიზეზების გამოკვლევა ფრიად საინტერესო იქნებოდა, მაგრამ ჩვენ ამჟამად ვერ გავკადნიერდებით და ეს საგანი არც შეადგენს დღევანდელ ჩვენს ამოცანას. ასეთ გამოკვლევისას ჩვენ უნებურად ძნელს და რთულ პირობებს წავაწყდებოდით; ამასთან ისიც უნდა ითქვას, რომ საამისო მასალები მხოლოდ საქართველოში თუ მოიპოვებიან.

გაკვრით მაინც საჭიროა აღინიშნოს ზოგიერ-ერის ტაქტიკა მისი ისტორიის ამა თუ იმ მწარე ეპიზოდში თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ჩუმ თუ აშკარა ბრძოლაში. ეს ყველაფერი ამტკიცებს იმას, რომ ქართველობა, ქრისტიანული ცივილიზაციით ზიარებული და ამ კულტურის თავიდანვე მატარებელი, არასოდეს სხვის მონად ყოფნას არ შეურიგდება. მას არ სურს არც მორალური და არც ფიზიკური სიკვდილი. სამწუხაროდ ამას ის ვერ მიაღწევს მარტო თავის ძალებზე, მეტადრე სუსტზე, დაყრდნობით. ამისათვის ის ეძებდა მუდამ და ეძებს დღესაც ყოველ-გვარ საშვალებას, რათა მისი რიცხობრივი ნაკლი შეავსოს სხვა ზომებით... ჩვენ რა გვინდა ეს ყველამ ვიცით, ეს სადაო არ არის. საქმე იმაშია თუ როგორ მივაღწიოთ იმას რაც ჩვენ გვსურს და რაც შეადგენს ჩვენს უწმინდეს მიზანს: აუცილებელი კავშირი ჩვენ ბედში მყოფ ერებთან, დაკავშირება ამა თუ იმ ფორმით იმ სახელმწიფოებთან, რომლებიც სათავეში უდგიან ანტიბოლშევიკურ ბლოკს და რუსეთის ემიგრაციის იმ ნაწილთან, რომელიც ბოლშევიკებს ებრძვის და ჩვენს დამოუკიდებლობას ურეზერვოდ სცნობს... თუ მტერი ასე თუ ისე დამარცხდა ჩვენი ხსნის შანსები დაახლოვებით უზრუნველ-ყოფილი იქნება...

დასკვნა: ჩვენი ერის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის განვლილი ისტორია, გვიკარნახებს დიდ სიფხიზლეს, დიდ სიფრთხილეს

დღეს-დღეობით ჩვენთვის ჩრდილოეთია საშიში. მის წინააღმდეგ ირაზმება მთელი დანარჩენი მსოფლიო და აი, ამ ძლიერი ბლოკის გამარჯვებაზეა დამოკიდებული ჩვენი ხსნაც; რა თქმა უნდა რომ ჩვენ, ჩვენი პატარა ძალებით ამ დარაზმულობაში უნდა ვიქნეთ. გამარჯვების შემდეგ, ქართველი ერი სუვერენულად გადასწყვეტს საკითხს, თუ რა ურთიერთობაში იყოს სხვა ერებთან.

აი, როგორია ახლო მომავალის პერსპექტივები. ეს კი დაჟინებით მოითხოვს ჩვენს პატარა ძალთა მჭიდროდ დაკავშირებას, დიადი მიზნისათვის, რაც ყველას გვასულდგმულებს და რაც ერთად-ერთი მოტივია ჩვენი უცხოეთში ყოფნის. ამ მიზნისათვის წმინდა ბრძოლა მოითხოვს მსხვერპლს და ეს მსხვერპლი ყველამ უნდა გავიღოთ თუ გვინდა პირ-ნათლად წარვსდგეთ ისტორიის სამსჯავროს წინაშე.

ს. ასათიანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თა ცდები ამ პრობლემის გასარკვევად. პირველი ამგვარი ცდა ეკუთვნის ჩვენს დიდ მეცნიერს, აკად. ნ. მარს; მკვლევარი თავის შრომაში: „ქალის კულტი ვეფხის ტყაოსანში“, თვითონვე აყენებს ამ კითხვას და ასკვნის, რომ ეს მომავალ გამოკვლევათა საგნად რჩება; გამოსარკვევია: გაჩნდა ქალის კულტი ჩვენში მზა ქართულ ნიადაგზე თუ ის მთლიანად შემოტანილი იქმნა აღმოსავლეთიდან. შემდეგ მკვლევარი გზას და გზა იძლევა ზოგ საინტერესო ახსნას ქალის კულტის პრობლემისას. ის ფიქრობს, რომ აქ როლს თამაშობდა ნეო-პლატონიზმის იდეების გავრცელება იმ დროინდელ საქართველოში, რასაც გაარღვია სქოლასტიური-სარწმუნოებრივი კარჩაკეტილობა, გაანთავისუფლა გონება და შექმნა ქალის სიყვარულის იდეალიზაცია; აქედან კი ერთი ნაბიჯი რჩებოდა ქალის კულტის აღიარებამდე. ავტორის აზრით, ქართველობამ რელიგიური ასკეტიზმი, განდეგილობა და „ხელად“ გასვლა თანდათან ქალზე და მისდამი სიყვარულზე გადაიტანა; მან ღმერთის ადგილას ქალი დასვა და მისთვის გახდა „ხელი“ და „მიჯნური“. ამნაირად, ქრისტიანულ ასკეტიზმიდან განვითარდა ქალის კულტი. უფრო დამაჯერებელი უნდა იყოს ახსნა, რომელიც ამ კულტის განვითარებას ადრინდელ არაბების გავლენას მიაწერს. ავტორს საამისო ადგილი მოჰყავს ინგლისურ წყაროებიდან, რომლებიც ქალის დიდ გავლენაზე და როლზე მეტყველებენ ისლამის წინა ეპოქის არაბეთში. ინგლისელი მკვლევარი ისლამიზმის წინანდელ არაბულ კულტურისა სწერს: „...საერთოდ ქალის მდგომარეობა მათში იყო ამაღლებული და მათი გავლენა დიდი; ისინი თავისუფლად ირჩევდნენ ქმრებს და შეეძლოთ თავიანთ მშობლებთან დაბრუნება, თუ მათ ცუდად ექცეოდნენ, ან საკმაო პატივით არ ეპყრობოდნენ ქმრის ოჯახში; ზოგ შემთხვევაში ისინი თვითონ უკეთებდნენ საქმროთ წინადადებას და გაყრის უფლებაც ჰქონდათ. იმათ, როგორც მონებს, ან ნივთებს კი არ უცქეროდნენ, არამედ ვით თანასწორთ და ამხანაგთ. ქალები მგოსანთ შემოქმედებას შთააგონებდნენ, ხოლო მებრძოლთ საომრად უწოდებდნენ. ევროპის რაინდობის კულტი საშუალო საუკუნოებისა შესაძლოა განვითარებულიყო წარმართულ არაბების გავლენის ქვეშო“. გვაუწყებს ავტორი.

ამ ბოლო დროს ჩვენ გავეცანით საინტერესო ცდას ქალის კულტის ფენომენის ახსნისას ბ-ნ ნოე ჟორდანიას მოხსენების მოკლე ანგარიშიდან მარიამ დედოფლის შესახებ. პატივცემული მკვლევარი ამბობს, რომ ქართველი ქალი თან ატარებს უძველესი ანტიური კულტურის თვისებებს, ისტორიულად გამქრალ ერთა ქალის ზნე-ხასიათს, რომელთაც ძველად ეკავშირებოდა ქართველი ქალიო... ქართველი ერი არ არის თანამედროვე ერი, ის, ამბობს ბ-ნი ნოე ჟორდანია, „ძველის-ძველი ერია, რომელიც გადაურჩა ისტორიის ქარტეხილს; მისი თანამოძმენი გაჰქრნენ, დარჩა მხოლოდ ის, და მასთან ერთად გამქრალთა თვისებები. აი, ამ თვისებათა შორის მთავარია ქალის მდგომარეობა საზოგადოებაში... ანტიურ საზოგადოებაში, რომლის წევრი იყო ქართველობა, ქალი და კაცი თანასწორი არიან, ხშირად აქ ქალი მეტ როლს თამაშობს. აი, ეს თვისებები უძველეს ერების ქალებისა, დღეს რამდენიმედ მხოლოდ ქართველ ქალს შერჩაო...“ ასკვნის ბ. მკვლევარი და ამით ხსნის უკანასკნელ ეპოქის ქართველ ქალთა აქტიურობას ერის თავისუფლებისათვის ბრძოლაში...

როგორც ვსთქვით, ჩვენ ამ პრობლემას ეხლა ვერ შევეხებით, მაგრამ გვინდა აღვნიშნოთ, რომ ქართულ მატიანეში ქართველი ქალის უმაღლესი და უკეთილშობილესი თვისებანი ნათლად მოსჩანან და ქართველ ქალს დღესაც შეუძლიან სთქვას, რომ ის ბედნიერია, რომ დაბადებულა ქართველად და სისხლი და ხორცია ჩვენ დიად დედათა — ამ მატიანეს ფურცლებიდან ნათელს რომ უხვად აფრქვევენ...

ჩვენი ამოცანა ამჟამად იმით ამოიწურება, რომ ჩვენი მდიდარი „ქართლის ცხოვრებიდან“ ამოვკრიფოთ მასალა, რაც ისტორიას შემთხვევით შემოუნახავს, და რაიც ამტკიცებს ქართველი ქალის უდიდეს ღვაწლმოსილობას.

---

ქალის საპატიო როლს ჩვენ „ქართლის ცხოვრების“ დასაწყისშივე ვეცნობით. აქ ჩვენ ვკითხულობთ, რომ ქართლოსის სიკვდილის შემდეგ მისი მეუღლე ძალა-უფლებას ხელთ იღებს და ოჯახურ და სამოქალაქო ცხოვრებას აწესრიგებს... „განყვნა დედამან შვილნი შემდგომად ქართლოსისა სიკვდილისა და მცხეთოს იყო გამგებლად ოთხთავე ძმათა ზედა“. ამ ქალმა „აღაშენა დედა-ციხე და მანვე აღაშენა ბოსტან-ქალაქი, რომელსა აწ ჰქვიან რუსთავი...“ ამგვარსავე სიმხნეს და შორსმჭვრეტე-

29711

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობას იჩენენ საქართველოს პირველი მეფის — ფარნაოზის დედა და ორი და: როცა ფარნაოზს მამა მოუკლეს, დედამ და დებმა იზრუნეს ტახტის შესანახად და მომავალი მეფე დიდის თავგამოდებით და ერთგულების შეგნებით აღზარდეს.

მაგრამ ქართველი ქალის დიდი ღვაწლი უფრო მეტის ძლიერებით მოსჩანს ქვეყნის გაქრისტიანების პირველ ხანებიდანვე.

ცნობილია, რომ ძველად ქართველები კერპთაყვანისმცემელნი იყვნენ, წარმართი ერი აღმერთებდა და თაყვანსა სცემდა ქართლოსის საფლავს, არმაზს, ცეცხლს, მზეს, მთვარეს, შვიდ ვარსკვლავს და სხვ.

ქართულ უძველეს გადმოცემის თანახმად, დაახლოვებით 50 წ. ქრ. დაბადების შემდეგ, როცა სამცხე-კლარჯეთში ქვრივი ქალი სამძივარი ცხოვრობდა, აქ შემოსულა ანდრია მოციქული და დაუწყია ქრისტიანობის ქადაგება. „ქართ. ცხოვრ.“ მოწმობით — პირველი, ვინც თავიდანვე ანდრია მოციქულს მიემხრო, იყო ქალი სამძივარი. ამ ქალმა სხვა დედაკაცებიც მიიმხრო და ამათი შემწეობით ანდრია მოციქულმა მრავალი მოაქცია ჯერ სამცხეთში და შემდეგ კი იმერეთში, სამეგრელოში, აფხაზეთში და სვანეთში. მიუხედავად მეფის ადერკის დევნისა, ქრისტიანობა, ამ ქალის ღვაწლით, მაინც ჩაესახა დასავლეთ საქართველოს პროვინციებში. მაგრამ ეს იყო პირველი სხივი ქრისტიანიზმისა... განვლო ჟამმა და საქართველოს მოევლინა მოციქულთა სწორი, ნამდვილი განმანათლებელი ქალი კაბადოკიიდან — ნინო; ამ ქალმა განავრცო ქრისტიანობა საქართველოში ისე რომ 318 წ. იგი სახელმწიფო რელიგიად იქმნა აღიარებული. წმ. ნინოს ცხოვრება დაწვრილებით არის აღწერილი ჩვენს მწერლობაში, რის გამო ამაზე აღარ შევჩერდებით; ჩვენ გვსურს მხოლოდ ის აღვნიშნოთ, რომ ქრისტიანობის გავრცელებაში ნინოს ყველაზე ადრე სწორედ ქალები დაეხმარენ: ესენი იყვნენ — მირიან მეფის სეფე ქალი შროშანა, მებაღის ცოლი ანასტასია, ურიათა მოძღვრის ქალი სიდონია და სხვანი, ხოლო შემდეგ კი თვითონ დედოფალი ნანა და სალომე უჯარმელი შეუერთდნენ ამ ქალთა გუნდს და იწყეს ქრისტიანობის ქადაგება. აი, ამ დედაკაცებმა გაიმარჯვეს ჯერ მცხეთაში და შემდეგ მთელს სამეფოში.

საყურადღებოა, რომ ამ გადმოცემათა მიხედვით, მწიგნობრობის განვრცობაშიაც თავიდანვე ქალებს დიდი როლი უთამაშნიათ: ბატონიშვილ რევის ცოლმა, როცა ნინო კვდებოდა, მოითხოვა საწერ-კალამი და აღწერა მისი ცხოვრება და ღვაწლიო, გვაუწყებს მატიანე. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ფრიად დამახასიათებელია ისიც, რომ ქართული მწერლობის პირველი ძეგლი — „შუშანიკის ცხოვრება“, ისევ ქალის ღვაწლს და გასაოცარ სიმტკიცე-თავდადებას ეხება.

ასევე დამახასიათებელია, რომ ჩვენი ქვეყანა ქართველობამ ღვთისმშობელ მარიამის წილხვდომილად გამოაცხადა.

ყველა ამ ცნობებიდან, რომელთაც ჩვენი მატიანე ქრისტიანობის გავრცელებასთან დაკავშირებით გვაწვდის, ჩვენ ვხედავთ, რომ ქართველი ერი უმნიშვნელოვანეს ფაქტორებს: მაღალ ზნეობისა და კულტურის გავრცელებისას ქალების სახელს უკავშირებს. ხალხურ გადმოცემებში, სიმღერებში და პოეზიაში ქალის ღვაწლი უმაღლეს მწვერვალზედაა აყვანილი; და ქალის ამ კულტიდან ხომ ერთი ნაბიჯი იყო ღვთისმშობლის საქართველოს პატრონად აღიარებამდე.

მალე საქართველო-სპარსეთის ურთიერთობა მწვავდება, გახშირდა ძლიერ მეზობლის თავდასხმანი; მამაკაცობა მთლიანად ამ ომებშია ჩაბმული, ქალები კი ოჯახს მიჰყოფენ ხელს და სამოქალაქო წესების შემუშავება-განმტკიცებაც მათი საქმეა; ერის სწავლა-განათლებასაც ისინი უძღვებიან და მომავალ თაობას ზრდიან: „ხოლო მისცა მეფემან მირდატ ძე თვისი ვახტანგი გორგასლანი საურმაგ სპასპეტსა აღსაზრდელად, რამეთუ წესი იყო — რათა შვილნი მეფეთანი წარჩინებულთა სახლსა იზრდებოდენ...“. ეს ძველებური აღზრდის წესი იმაში გამოიხატებოდა, რომ დედაკაცნი მათ წერა-კითხვას ასწავლიდნენ, ხოლო მამაკაცნი კი სამხედრო ცოდნასა.

არა მარტო საერო საქმისათვის წვრთნიდნენ ეს ქალები ყმაწვილთ, არამედ ხშირად მაღალ სასულიერო ხარისხისათვისაც ამზადებდნენ მათ. მაგ. ჩვენი სახელოვანი გიორგი მთაწმინდელი „ქართ. ცხოვრების“ მოწმობით, იზრდებოდა სამცხეს ტაძრის დედათა მონასტერში და აქ მას წრთვნიდა და ასწავლიდა ქართულ წერა-კითხვას, დავითნს, სახარებას და სხვას მისი მამიდა თეკლე. ხოლო შემდეგ, როცა მან აქ პირველ საფეხურის სწავლა დაამთავრა, ის მიაბარეს ბერ ილარიონ თუდაელს და შემდეგ კი ფერი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზა ქოჟიკს; აი, ამ უკანასკნელის მეუღლემ გამოიჩინა გიორგი მთაწმინდელის აღზრდაში განსაკუთრებული მზრუნველობა: მან ის თვითონ წაიყვანა კონსტანტინოპოლში და იქ მიაბარა საგანგებო მასწავლებლებს ფილოსოფიისა და საერთო მეცნიერების დარგიდან. აქ გიორგი ამ ქალის ახლო დახმარება - ხელმძღვანელობით იწვრთნებოდა 11 წლის განმავლობაში. „თითქმის არა გვყავს“, ამბობდა დ. ჯანაშვილი, „არც ერთი სახელოვანი მეფე, რომელსაც წიგნი დედაკაცისაგან არ ესწავლოს, რომ მის გონება - გახსნილობას და პოლიტიკური უნარს მათს გვამში დედაკაცების მეცადინეობით არა ჰქონდეს ფესვი გადგმული“.

გავყვეთ მატიანეს ცნობებს: მეფე ვახტანგ გორგასლანი მოქმედებს თავის დედის, საგდუხა დედოფლის და დის ხვარამზეს სწავლა-დარიგებით. ომებზე დიდი ლაშქრობის სამზადისის წინ წარსდგება მეფის წინაშე სპასპეტი ჯვანშერ და მოახსენებს მას: „კითხვითა დედისა შენისათა გამოირჩიე ერთი, ვინ ჩვენგანი იქნება წინამძღვარად სპისა ჩვენისათა... და სხვა...“; მაგრამ ამ ბჭობის შედეგად ვახტანგმა მაინც ამჯობინა თვითონვე გაძღოლოდა ჯარს და სამეფო საქმეები დროებით სხვისთვის გადაეცა. “ქართ. ცხოვ.“ განაგრძობს: „შეკრიბა რა ვახტანგმა ასი ათასი მხედარი და 60.000 ქვეითი, განვიდა ქალაქით მცხეთით და განასხნა სპანი მისნი. მოეწონნეს სიმრავლითა, ცხენკეთილობითა და მოკაზმულობითა და იხილა ყოველნი იგი მხიარულად და ალძვრით,,... და ამის შემდეგ დაუტევნა „განმგებლად სამეფოსა მისისა დედაი მისი საგდუხ და დაი მისი ხვარამზე და დაწერა ანდერძი ესე: „უკეთუ არა შემოვიქცე ცოცხალი, დაი ჩემი ხვარამზე შეირთოს მიხრან და განაგოს მეფობაო“... ამით ვახტანგმა სამეფოს ბედი ფაქტიურად თავისს დას გადასცა გამოცდილ და ჭკვიან დედის ხელმძღვანელობის ქვეშ. ეს საყურადღებო ანდერძი მეფემ „დედასა მისსა მისცა და სხვასა არავის აუწყო“... დაბრუნდა კავკასიიდან გამარჯვებული მეფე და თავისივე დედის რჩევით მოიყვანა ქალი, ასული სპარსეთის მეფისა ბალენდუხტი. საყურადღებოა, რომ ამ მეფეს თვისი სახელოვანი ომების და სხვა საგანგებო მოგზაურობის დროს ხშირად თან ახლავს და დარიგებას აძლევენ მისი დედა და დაიც. ვახტანგის დედა სხვაფრივაც ყოფილა შესანიშნავი: პლ. იოსელიანის მოწმობით, ამ საგდუხ დედოფლის ბრძანებით ზოგი საღმრთო წიგნები გადათარგმნილ იქმნენ ქართულადო.

ასევე იყვნენ აღზრდილნი და გაწვრთნილნი სხვა მეფენი და წარჩინებულნი ღირსეულ ქალთაგან. ამათ ასწავლიდნენ საეროსა და სასულიერო ძველს მწერლობას, შთაუნერგავდენ დიდ მამულიშვილურ გრძნობათ და ქრისტიანულ კულტურის მაღალ მცნებებს. ასეთნაირად ზრდიდა მეფე გიორგი პირველს მისი მამიდა გურანდუხტი; მეფე გიორგი მესამე აღზარდა დავით აღმაშენებლის ასულმა — თამარმა. ეს თამარი განსაკუთრებულად ჰყვარებია გიორგი მეფეს: მაგ. როცა მეფემ ერთხელ მუსულმანი ამირები დაამარცხა და ანის ქალაქში თვისი მოხელეები დანიშნა და გამარჯვებული უკუ იქცა, მას მიეგებნენ: კათალიკოსი, წარჩინებულნი, მისი მეუღლე, დედოფალი ბურდუხან და გამზრდელი თამარ. და ყველა ამათში მეფე პირველად მიესალმა და სიყვარულით მოეხვია თვის გამზრდელს თამარსო, ამბობს მატიანე.

მართლაც ღირსეული ქართველი ქალები ყოფილან თავით აღმაშენებლის ასულნი: თამარი და კატო. თამარ, აღმზრდელი გიორგი მეფისა, ცოლად ჰყოლია შირვან შახს, მაგრამ მუსულმანის ცოლობას თამარის გული არ შეუცვლია; ის ეხლაც ენერგიულად სდგას თვისი მამა-პაპის რჯულზე და ნათესაობაზე. საკუთარს შვილს, აღაათანს ის საქართველოს და ქართველების სიყვარულში ზრდის და თბილისში საგანგებო სასახლესაც აუგებს... ქმრის სიკვდილის შემდეგ მან „აღაშენა თაღვას ჯვარის მონასტერი, გუმბათიანი, დიდ მშვენიერი, კეთილად ნაშენი და მრავალი შენობიანი“... დ. ჯანაშვილის აზრით, ამ „მრავალ შენობებში“ თამარს სკოლები უნდა ჰქონოდა. არა ნაკლებ შესანიშნავია დავით აღმაშენებლის მეორე ასული კატო, რომელიც საბერძნეთში იყო გათხოვილი. ამანაც ქართულ წესზე აღზარდა თვისი შვილები და ბოლოს ქმრით და შვილებით მაინც დაბრუნდა სამშობლოში, სადაც გიორგი მეფემ მათ შესანიშნავი სასახლე აუგო. ესენიც სამუდამოდ აქ დამკვიდრდნენ და მათგან უნდა წარმომდგარიყოს ანდრონიკაანთ გვარი. გიორგი მესამეს დაი რუსუდანიც შესანიშნავი ქართველი ქალია და თუმცა შორს, მცირე აზიაში გათხოვილა მახმადიან სულთანზე, მაგრამ საიდაც, და როგორც კი ხელი მიუწვდება, საქართველოს გაძლიერებისათვის იღწვის და თვის მამულიშვილთ დიდ დახმარებას უწევს. დაქვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიგების შემდეგ, ის საქართველოში ბრუნდება და მეფე გიორგი მესამის ოჯახში მოღვაწეობს. აქ ის გიორგის უზრდის მომავალ დედოფალს, სიამაყეს და მშვენებას ქართულ ისტორიისას— თამარს, და მასთან ერთად—მისს მომავალ მეუღლეს, დავით სოსლანს. ვინ მოსთვლის—რაოდენი კეთილშობილი გრძნობები და სიყვარული სამშობლოისა და ერისადმი შთაუნერგავ გულში ამ ქალმა მომავალ დედოფალს. საქართველოს მატიანის მოწმობით, ეს რუსუდანი ფრიად განათლებული და მწიგნობარი ქალი უნდა ყოფილიყო, მცოდნე სხვა და სხვა ენათა და ჩვეულებათა.

როცა გიორგი მეფემ 1162 წელს მცირე აზიის ემირები და სულთანები დაამარცხა, მახმადიან ქვეყნების თხოვნით გიორგის მათთან საზავო მოლაპარაკება უნდა გაემართა; და აქ მეფემ საქართველოს რწმუნებულად რუსუდანი წარგზავნა; ამ ქალმა ეს მისია დიდის ჭკუით და გამჭრიახობით ჩაატარა და სამეფოს საპატიო ზავი არგუნა. ამნაირად რუსუდანმა, სხვა დანარჩენ თვისებებთან, შესანიშნავი დიპლომატიური ნიჭიც გამოიჩინა.

ამავე მაღალ ნიჭიერების და დიდი ბუნების ქალია ბექა დიდის, ჯაყელის ცოლი ვახახი. ამ ვახახიმ და მისმა ასულმა ნათელმა აღზარდეს მ ე ფ ე გ ი ო რ გ ი ბრწყინვალე; როცა 1289 წ. მეფე დიმიტრი თავდადებული მონგოლებმა აწამეს, მაშინ ჯერ მცირეწლოვანი გიორგი მისმა დამ ნათელმა გამოიტაცა და სამცხეში მიიყვანა. აი, აქ აღზარდეს და გაწვრთნეს დიდმა ბექამ და მისმა მეუღლემ ვახახიმ გიორგი ბრწყინვალე. ეს ვახახი საერთოდ დიდი კულტურის ქალი უნდა ყოფილიყო, რომელსაც თვისი ოჯახი სწავლულთა კერად გადაუქცევია. აქ მას და ბექას მოუწვევიათ „თუკი სადმე კეთილი და მოღვაწე და მეცნიერი ეპისკოპოზი, გინა მონაზონი იყო“... და ობოლთა, ულონოთა და სხვათა მსურველთათვის ასწავლებინებდა თვისს სასახლეში წერა-კითხვასა. ამნაირად, შეიძლება ითქვას, რომ ამ ქალმა ერთი დიდი სასწავლებელი დაარსა თვისს ოჯახში და ქმარის სიკვდილის შემდგომ კიდევ უფრო განაძლიერა ამ საქმისთვის ზრუნვა. ამ შესანიშნავ ქალს ჩვენ კიდევ დავუბრუნდებით; ეხლა კი მეფეების აღმზრდელთ შორის გვინდა დავასახელოთ მეფე ალექსანდრე პირველის მოჭირნახულე და გამზრდელი ბებია, ქუცნა ამირეჯიბის მეუღლე რუსია, რომელსაც ასეთი თბილი და მადლიანი სიტყვები უძღვნა ჩვენმა ისტორიკოსმა ი. ჯავახიშვილმა.

ამ ქალმაც დიდი ღვაწლი დასდო თვის სამშობლოს და თვის აღზრდილს ალექსანდრე პირველს, მუდამ აქეზებდა ეკლესიათა, მონასტერთა, სკოლათა და სხვა საკულტურო დაწესებულებათა ასაგებად; თვითონ რუსიაზე მემატიანე გადმოგვცემს: „...ამან იწყო მრავალის ღვაწლითა და გულსმოდგინებით აღშენება სვეტის ცხოველისა... მაგრამ ვერღარა სრულჰყო აღშენება მისი და ალექსანდრემ დაამთავრა ისო“...

აი, ამ სახელოვან აღმზრდელთაგან ტრადიციულად წამოვიდა და განვითარდა ჩვენში ეგრე წოდებული „ოსტატობა“, რაიც ქართველ ქალთა ხელში ყოფილა. ამის შესახებ საინტერესო წერილს გაზ. „დროებიდან“ ასახელებს ბ. დ. ჯანაშვილი. „ჩვენში“, ვკითხულობთ ამ წერილში, „ძველთაგანვე სწავლა-განათლების საქმე თითქმის ქალების ხელში ყოფილა. პირველნი გამავრცელებელნი წერა-კითხვისა ხალხში ქალები ყოფილან. ყველას ახსოვს ის დრო, როცა სოფელში და ქალაქშიაც ზოგიერთ დარბაისელ დედაკაცებს სასწავლებელნი, პანსიონებივით ჰქონდათ გამართული და თვითეულ ამათგანზე ათს, ოცს და ხან მეტს შეგირდებს მიიბარებდენ და წერა-კითხვას და საღმრთო წერილს ასწავლიდენ... სულ ძველად ხომ ჩვენს ისტორიულს ცხოვრებაში, როდესაც კაცები: მამები, ქმრები, და ძმები მუდამ ლაშქარში და ომებში იყვნენ მტრის წინააღმდეგ და სამშობლოს იცავდენ, მაშინ გავრცელება ჩვენებური წერა-კითხვისა და მწიგნობრობის საქმე ქალების მოღვაწეობით მიდიოდა და იმ დროის ჩვენში ქართული წერა-კითხვა უფრო გავრცელებული ყოფილა, ვინემ ეხლა არისო“...

აქ ქალ-ვაჟთა სწავლის საქმეს ძველიდანვე უძღოდენ ქალები და ხშირად უბრალო ქალებიც. აქედან წარმოსდგა გლეხობაში გავრცელებული ინსტიტუტი—„სადედო“. ეს „სადედო“ იყო, ასე ვსთქვათ, ბეგარა, რომელიც სასიძოს უნდა ოსტატ ქალისათვის გადაეხადა, რომელმაც პატარძალი აღზარდა: მას ჭრა-კერვა, ქარგვა, საოჯახო საქმეები, დიასახლისობა და ყველაზე უწინ კი წერა-კითხვა და სხვა ასწავლა. აი, მთელი ეს ცოდნა და გამოცდილება ეხლა ემატებოდა და საძირკვლად ედებოდა ახ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კ რ ი ტ ი კ ი ს ა ზ რ ი

## (1953 წ. 24 მაისს პარიზში გამართული ქართული საღამოს გამო)

კრიტიკა მიისწრაფვის სიმართლისაკენ; ერთი მხარე ამბობს, რომ სიმართლე არსებობს ხალხის გარეშე; მეორე კი ამტკიცებს, რომელსაც ჩვენც ვეთანხმებით, სიმართლე ხალხში სადგომლობს.

1.

კრიტიკის აზრია გაარკვიოს თუ რა უფრო ახლოა სიმართლესთან და უჩვენოს შემოქმედს მისკენ მიმავალი გზა.

2.

ხელოვნებაში კრიტიკამ უნდა განსაზღვროს რა არის და რა არ არის ხელოვნება; შუალედი მათ შორის („ნახევრად ხელოვანი") არ არსებობს.

3.

ყოველგვარი კრიტიკა, ვინაიდან ის იქმნება პიროვნების მიერ და მიჯაჭვულია მასზე, სუბიექტურია, მაგრამ კრიტიკოსის საპატიო სახელს ის იმსახურებს, რომელიც თავისი სუბიექტური აზრისა და სიმართლის შორის არსებული სხვაობის გაქარწყლებისაკენ მიისწრაფვის; ლესინგის სიტყვებით რომ ვსთქვათ (ჰამბურგის დრამატურგია); „ხელოვნების ნამდვილი მოსამართლე, კი არ აყალბებს საერთო კანონს თავისი გემოვნებიდან, არამედ ქმნის თავის გემოვნებას, რომელიც ეყრდნობა კანონებს, და თვით საქმის ბუნებიდან გამომდინარეობს".

4.

ამ რთული ამოცანის გადაჭრისათვის, კრიტიკოსი ხელმძღვანელობს და სარგებლობს თავისი ცოდნისა და გამოცდილების საწყობიდან; რასთქმა უნდა, რამდენადაც კრიტიკოსს მეტი ცოდნა და გამოცდილება აქვს და ცდილობს თავისი სუბიექტურობის მინიმუმამდე დაყვანას, იმდენად მისი კრიტიკის ხარისხი უკეთესია — სამართლიანია. გამოდის რომ კრიტიკოსმა თავისი სუბიექტურობა უნდა აქციოს სიმართლედ: რაც შეიძლება შეუძლებლობის ფარგალში იმყოფება, მაგრამ მისი გარდალახვის ურყევი საშუალებაა მეცნიერება, რომელსაც ყოველი კრიტიკა უნდა ეყრდნობოდეს.

5.

რომ ჩვენ 24 მაისს გამართული ჩვენი საღამოს მხატვრული ნაწილი ამ „შეუწყალებელი" კრიტიკის თვალსაზრისით განვიხილოთ, ბევრი არაფერი არ დაგვრჩება ხელში, მაგრამ ის „ცოტა რამ" ბევრს უდრის, თუ ჩვენი კრიტიკის მეორე აზრს მივმართავთ, რომელიც (როგორც ვთქვით) ეკლიან გზას, ხელოვნების სამყაროსაკენ კაფავს.

6.

ყოველგვარი მხატვრული ნაწარმოები მოითხოვს, ერთ მთლიანობაში ჩამოსხმულ, დახვეწილ ფორმას, ჩამოყალიბებულ შინაარსს და (თანადროულ) გამოთქმას. ხალხური ცეკვა, როგორც წინად აღვნიშნეთ, თეატრის ეს უძველესი და პირველადი უჯრედი, მოითხოვს მიმიურ-დრამატიულ ფორმის ხორცშესხმულ შინაარს-აზრს, რომელიც ყოველი სახის ხალხურ ცეკვებს გააჩნია. ხელოვნება აზრის-შინაარსის გარეშე არ არსებობს.

7.

ქართული ხალხური ცეკვის აზრი რომ გავიგოთ, უნდა მივმართოთ ჩვენს მასწავლებელს — ქართველ ხალხს; მაგალითად: „ლეკურის", ამ ქართული ეროვნული ცეკვის, ძირითადი აზრია ქალ-ვაჟის გაცნობა-დაახლოვება. მოქმედება: „ლეკურის" ცეკვას (უმთავრესად სოფელში) იწყებს „რჩეული ვაჟი", რომელსაც სურს „გაეარშიყოს რჩეულ ქალიშვილს". ვაჟი ჩამოუვლის წრეს, აკეთებს რამოდენიმე ილეთებს, რომლის (მთავარი) აზრია აჩვენოს ქალიშვილს თავისი მოხდენილი შეხედულება. ძლიერ ფრთხილად (ვინაიდან არ იცის მან, ქალიშვილი იცეკვებს მასთან თუ არა) „მიუცეკვებს" ის ქალიშვილს, რომლითაც ის „ოფიციალურად" აცხადებს თავის, მანამდე დამალულ, გრძნობებს ქალიშვილისადმი; რაც ორთავეში ფსიხოლოგიურ ცვალებადობას იწვევს. ქალიშვილს თუ არ

---

ლად დაფუძნებულ ოჯახს, რის გამო სიძეს ოსტატისათვის საგანგებო სანაზღაო ემართა, რასაც „სადედო" ეწოდებოდა.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

თამარ პაპავა.

ბუენოს აირესი.
მარტი, 1953 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსწონს ვაჟი, შეიძლება მასთან არ იცეკვოს... მაგრამ დაუშვათ ქალიშვილს სურს ვაჟთან ცეკვა: აქ კაცი ძლიერ ამაყია, რომ მას უარი არ უთხრეს და დაუთმობს ბურთისა და მოედანს ქალიშვილს; რომელიც თავისი ნაზი მოძრაობით, თავისი შესახედაობასა და შეიძლება გრძნობასაც „შესახედავს" ხდის. ის ჯერ კიდევ ორჭოფულ მდგომარეობაშია: წავიდეს ვაჟთან თუ არა? — როდესაც ქალიშვილი ვაჟთან წასვლას გადაწყვეტს და ამით „ოფიციალურად" აცხადებს თავის, მანამდე დამალულ გრძნობებს ვაჟისადმი, ქალ-ვაჟის აღფრთოვანებაში მონაწილეობას ღებულობს თვით მაყურებელიც, ცეკვა აღწევს თავის განვითარების უმაღლეს საფეხურს და მთავრდება.

8.

ეს „სოფლური ლეკური" ჯერ კიდევ ხელხური ხელოვნების სფეროში ვერ ექცევა (რაც იმას არ ნიშნავს, რომ მას არ შეუძლია ამ საფეხურს მიაღწიოს), ვინაიდან მისი ფორმა და შინაარსი ჯერ კიდევ არ არის საკმარისად დახვეწილი-ამაღლებული, რომლის შექმნა ხალხური მოცეკვავის შემოქმედებით უნარმა უნდა შესძლოს.

9.

ეთერი თაყაიშვილისა და შოთა აბაშიძის მიერ შესრულებული ლეკურის ფორმა (ილეთები, ხელისა და მთელი ტანის მოძრაობა) აუცილებლათ ძლიერია; შოთა აბაშიძეს თითქმის „ზომაზე მეტად" აქვს ეს ცეკვა დამუშავებული, მაგრამ მომავალში მათ (ჩემის აზრით) მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ იმ აზრს რომელზედაც ჩვენ ზემოთ ვილაპარაკეთ. „ლეკური" ძლიერი რთული ცეკვაა, იმიტომაა რომ მისი კარგად შემსრულებლები თვით საქართველოშიდაც თითებზე ჩამოსათვლელია.

10.

მთიულურ ცეკვებში, ჟაკლინ ხაბულიანისა და შოთა სტურუას კარგად შესრულებულმა ცეკვამ, ისევე აღფრთოვანა, ენტუზიაზმით გამსჭვალული მაყურებელი, როგორც ძმები მელიავების ცეკვამ, რომლებიდანაც (მესამე ძმა) პატარა მიშა მელიავას ორიგინალური „წყვილი ცერები" განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს. მასიური ცეკვა (არ ვიცი რა სახელწოდებით იყო წარმოდგენილი) მოითხოვს დადგმას; დადგმა კი —შინაარსს: უკანასკნელი, ამ საღამოს, ვერ დავიდა მაყურებლამდე; უქონლობის თუ შეუსრულებლობის გამო არ ვიცით; მაგრამ ორთავე ერთიდაიგივეს უდრის, რომლის გარდალახვას თამაზ ნასყიდაშვილი თავისი ძლიერი „სვანურით" შეეცადა. ახალგაზრდების გვერდით (რომლებმაც მხატვრული განყოფილების შემდეგაც გააგრძელეს ქართული ცეკვა დარბაზში), უნდა აღინიშნოს მომავალი ახალგაზრდობის „მასიური ცეკვა", რომელმაც მართლაც გაამხიარულა მთელი საზოგადოება.

11.

მომღერალთა გუნდი, ლ. თვალიაშვილის ხელმძღვანელობით, აუცილებლად აუმჯობესებს თავის ხარისხს, მაგრამ რატომ სულ ერთი და იგივე სიმღერები („სამშობლო", „ნამგალი" და სხვ.)? ვიმედოვნებთ გუნდი ამ მიმართულებითაც გააღრმავებს თავის მუშაობას.

12.

საბოლოოდ უნდა ითქვას, რომ აუცილებლად მადლობის ღირსია ყველა ის პირები, რომლებმაც ამ საღამოს მოწყობაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს. ჩვენ აქ — პარიზში მართლაც მშვენიერი ახალგაზრდობა გვყავს და რატომ ერთხელ მაინც არ უნდა გამოვთქვათ ის კმაყოფილება, რომელიც სხვების გვერდით, გამოწვეულია შ. აბაშიძის ენერგიული მუშაობით; მით უმეტეს რომ ეს კრიტიკის აზრს სრულიად არ ეწინააღმდეგება.

კ. კანი.

---

## ნ ი კ ი ტ ა   ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი

გარდაიცვალა და უცხო მიწას მივაბარეთ ამხ. ნიკიტა იმნაიშვილი. ნიკიტა იყო სოფ. შუხუთიდგან (გურია). ღარიბი ოჯახის შვილი, მიუხედავათ ამისა, მისი მშობლები ყველაფერს შვრებოდნენ, რომ მისთვის სათანადო სწავლა-განათლება მიეცათ. სოფლის სკოლის გათავების შემდეგ ის შეიყვანეს ლანჩხუთის სამოქალაქო სასწავლებელში. აქ ის ითვლებოდა საუკეთესო მოწაფეთ. ეს ის დრო იყო, როცა მთელ საქართველოში, და კერძოთ გურიაში, „ახალი თაობა" დიდ რევოლ. მუშაობას ეწეოდა. ამ მუშაობამ გაიტაცა მოსწავლე ახალგაზრდობაც. და ერთ დღეს, სრულიად მოულოდნელათ, ამ სამოქალაქო სასწავლებლის მოწაფეებმა მთელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიგი მოთხოვნილებანი, რომელთა შორის უმეტესობა პოლიტიკური ხასიათის იყო, წარუდგინეს დირექტორს. დირექტორი და მასწავლებლები ამ საქმეს ადვილად მოაგვარებდნენ შინაურულად, რომ საქმეში არ ჩარეულიყო ადგილობრივი პოლიცია. პოლიციის ჩარევამ საქმე გაამწვავა, რასაც მოჰყვა მთელი სასწავლებლის გაფიცვა. პოლიციამ გაფიცვის მეთაურად ნიკიტა ჩასთვალა და დასაჭერად დევნა დაუწყო. ნიკიტა იძულებული იყო სასწავლებლისათვის თავი მიენებებინა და გადამალულიყო აფხაზეთში, სადაც მას არავინ იცნობდა. აქ მან განაგრძო სწავლა-განათლება და იმავე დროს ეწეოდა პოლიტიკურ მუშაობასაც. სათანადო მომზადების შემდეგ, მან ჩააბარა გამოცდა მასწავლებლობაზე და კიდევაც დანიშნეს მასწავლებლად სოხუმის ოლქში, სადაც განაგრძობდა არალეგალურ მუშაობასაც.

პირველი მსოფლიო ომის დროს, ის გაწვეული იქნა ჯარში და მისი ნაწილი იმყოფებოდა ტრაპიზონის ფრონტზე. ომი დათავდა თებერვლის რევოლიუციით, ფრონტი მოიშალა, დაარსდა ბათუმის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭო და ნიკიტა არჩეული იქნა ფრონტზე ჯარისკაცთა მიერ მის წევრად, რის გამო ის გადმოვიდა ბათუმში.

ბათუმში ამ დროს თავმოყრილი იყო ფრონტებიდან თავის ნებით წამოსული, აჟარებული ჯარისკაცები და მეზღვაურები, რომლებიც არავითარ წესრიგს არ ემორჩილებოდნენ, ჩქარობდნენ სახლში წასვლას, მაგრამ საჭირო ტრანსპორტის უქონლობის გამო, დახეტიალებდნენ დღიან-ღამიანად ქუჩებში, ხულიგნობდნენ და ქალაქს დარბევით ემუქრებოდნენ. დიდი შრომა დასჭირდა მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს მათ დასამშვიდებლად, ქალაქის დარბევისაგან გადასარჩენად და მათი ბათუმიდან გასამგზავრებლად. ამ მუშაობაში ნიკიტა, როგორც საბჭოს წევრი, დიდ მონაწილეობას იღებდა და არაერთხელ ყოფილა ფიზიკური საშიშროების წინ გათავხედებულ ჯარის ნაწილთა წინაშე.

ფრონტის დაშლას მოჰყვა ოსმალეთის ჯარების წინ წამოწევა. საქართველოს რევ. ძალები შეეცადნენ მის შეჩერებას საზღვრებზე, მაგრამ ამაოდ. მათ დაიკავეს ბათუმის ოლქი და მოადგნენ ოზურგეთს. ოზურგეთის საშველად გურიის ყველა სოფელში შესდგა რაზმები. ერთი ასეთი რაზმი შეადგინა ნიკიტამ და გაეშურა ოზურგეთისაკენ. ოზურგეთი დაეცა, რაზმები



ნიკიტა იმნაიშვილი

დაიშალა. ნიკიტა დარჩა ლანჩხუთში და არჩეული იქნა ადგილობრივ ს.-დ. ორგანიზაციის ხელმძღვანელად და იმავე დროს გურიის სოც.-დ. კომიტეტის წევრად. სანეკროლოგო წერილში შეუძლებელია აღნიშვნა ყოველივე იმის, რაც მუშაობა ჩაატარა ამ მძიმე დროს გურიის სოც.-დ. ორგანიზაციებმა: მოვლა და პატრონობა ხალხის იქ, სადაც ოსმალების ოკუპაცია იყო, პოლიტიკური მუშაობა იქ, სადაც არ იყო ოკუპაცია და თან მონაწილეობა ერის საერთო ბრძოლებში სხვადასხვა ადგილებში.

ამ კრიტიკულმა დრომ გამოიწვია შეიარაღებული რაზმების შექმნა თითქმის ყოველგან, მთელ საქართველოში. ასეთი რაზმი შეიქნა ლანჩხუთში, და მისი ერთი შემქმნელთაგანი იყო ნიკიტა. რაზმები იცავდნენ წესრიგს არა მარტო ადგილობრივად, არამედ სხვა ადგილებშიაც. ყველაზე მეტი ჯაფა ასეთი გასაჭირის დროს აწვა იმ რაზმებს, რომლებიც ბინადრობდნენ რკინის გზების ახლოს. ამით აიხსნება ის, როცა საჩხერის ბოლშევიკური ბანდები შემოესია და ჭიათურის მუშათა საბჭომ ჩვენ, ქუთაისის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს, დახმარება გვთხოვა, და როცა მე, როგორც ამ საბჭოს თავმჯდომარემ, საჩხერის დასახმარებლად, გამოვიწვიე, რკინის გზის მიდამოებიდან ყველა რაზმები,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველაზე უწინ სანჩქერში გაჩნდა ლანჩხუთის რაზმი, რომლის ერთი ხელმძღვანელთაგანი იყო ნიკიტა. ამ რაზმმა დიდი მონაწილეობა მიიღო იქ ბანდების გარეკაში და წესრიგის აღდგენაში.

დროთა მსვლელობაში ეს რაზმები გაუქმდა და დაარსდა გვარდია. დაარსდა გვარდია ლანჩხუთშიაც და ამ გვარდიის ერთი შემქმნელთაგანი იყო ნიკიტა და შემდეგ აღარც მოსცილებია მას. მასთან ერთად ებრძოდა ბოლშევიკურ ბანდებს ოსეთში, შემდეგ წითელ ხიდზე და ბოლოს, თებერვალ-მარტში, შემოსულ წითელ ჯარებს.

ამ ბრძოლაში საქართველო დამარცხდა. ბედნიერ ქვეყანას უბედურების ზეწარი გადაეფარა, სიცოცხლის და მხიარულების მაგიერ ვიში და მწუხარება დაეუფლა, შავი თებერვალი მძიმე ლოდათ დააწვა. დამპყრობელთა სისხლიანი ბუნება თანდათან გამოაშკარავდა. დაიწყო დატუსაღება, წამება, ხვრეტა, ქალაქების ძარცვა, სოფლების აწიოკება. პოლიტიკური ატმოსფერა თანდათან იხუთებოდა, მზადდებოდა ყველაზე უსაშინელესი წელი, წელი აჯანყებისა, წელი — 1924.

მოთმინებიდან გამოსული ხალხი იარაღს ეცა, დაიწყო აჯანყება. ამ აჯანყების მომზადებაში და ხელმძღვანელობაში ნიკიტა დიდ როლს თამაშობს, თავს არ ზოგავს და სხვებთან ერთად თავისუფლების გამარჯვებას ამზადებს. როცა სამკვდრო-სასიცოცხლო შეტაკებაში გამარჯვება მტერს დარჩა — დაიწყო გაუგონარი შურისძიება, გამარჯვებულმა ჯალათმა ქართველ მოსახლეობას მუსრი გაავლო; თვითეულ ნაძირალას შეეძლო დაეხვრიტა ვისაც მოისურვებდა.

აჯანყებულთა რაზმები სოფლებს გაშორდა და მთებს შეეხიზნა. ერთმა ასეთმა რაზმმა თავი სურების ტყეს შეაფარა. ამ რაზმთან იყო ნიკიტაც. ამ რაზმის მდგომარეობა გარდაუვალათ მოითხოვდა დაკავშირებას ბართან, პირველ ყოვლისა, თფილისში, აჯანყების მეთაურებთან. მაგრამ როგორ? მთელი მაზრა ჩეკისტების რაზმმა დაიკავა, ყველა გზები, მიმოსვლის ყველა საშუალებანი, მათ ხელში იყო. ამ განსაცდელის დროს ეს მისია იკისრა ამხ. ნიკიტამ. ეს იყო ნამდვილი თავის განწირვა. საბედნიეროთ, ნიკიტამ შესძლო ამ მისიის შესრულებაც და თავის გადარჩენაც.

აჯანყების დამარცხების შემდეგ ნიკიტა დარჩა გურიაში, დადიოდა სოფლიდან სოფლათ და სხვებთან ერთად თავს უყრიდა გადარჩენილ მებრძოლთ და აწყობდა ორგანიზაციებს. ის არა ერთხელ იყო დატუსაღებული ჩეკაში, მაგრამ განთავისუფლებდენ თუ არა, მაშინვე ჩაებმოდა რევ. მოუშაობაში. დაბოლოს ჩეკა დარწმუნდა, რომ ნიკიტას „მორჯულება" არ შეიძლებოდა და გადასწყვიტა მისი საბოლოოთ თავიდან მოშორება, ციმბირის შორეულ კუთხეში გადასახლებით. მაგრამ არც ნიკიტას ეძინა და როგორც კი იგრძნო ასეთი საშიშროება, გაიხიზნა ტყეში და იქიდან მოხერხებულ დროს გადავიდა ოსმალეთში. უცხოეთში ის ცხოვრობდა საფრანგეთში, მუშაობდა ქარხნებში და თავის პატიოსანი შრომით თავსაც ირჩენდა და სხვებსაც ეხმარებოდა. იღებდა მონაწილეობას ყოველგვარ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, იყო თითქმის მუდმივი წევრი პარიზის ს.-დ. ორგანიზაციის კომიტეტის და მონაწილე ყველა მისი წამოწყების და მუშაობის.

ამ ბოლო დროს ხშირათ ავათმყოფობდა. ავათმყოფობას თან დაერთო დაბრმავება და იძულებული იყო ევლო „თეთრი ჯოხით". დიდ ხანს ექიმობდა, მაგრამ, სამწუხაროთ, უშედეგოთ. გარდაიცვალა ლაენეკის საავათმყოფოში პარიზში, დასაფლავებულია „ძმათა სასაფლაოზე" სოფ. ლევილში.

დასაფლავებას ბევრი მეგობარი და პატივისმცემელი დაესწრო. კუბოსთან იდვა დიდი გვირგვინი ცოცხალი ყვავილებისაგან ს.-დ. საზღვარგარეთელ ბიუროსი და პარიზის ს.-დ. კომიტეტისაგან. იყო თაიგულები კერძო პირებისაგანაც. სასაფლაოზე მშვენიერი სიტყვა წარმოსთქვა ბ-ნმა კ. ქავთარაძემ, რომელმაც აღნიშნა მისი დამსახურება ქართველი ერის წინაშე, მისი თავგანწირული ბრძოლა საქართველოს უფლებებისათვის, და მისი სამაგალითო გაბედულება აჯანყების დროს.

დაბოლოს წაკითხულ იქნა დეპეშა მისი ძმის გერმანიიდან, რომელიც მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო (ვიზა) ვერ ესწრებოდა დასაფლავებას და სთხოვდა გრ. ურატაძეს, მისი სახელით მადლობა გადაეხადა ყველა იმათთვის, ვინც პატივისცა მის ძმას და სასაფლაოზე მიაცილა.

გრ. ურატაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართული რადიო-გადაცემები

## თ ა მ ა რ ო ბ ა

(ესკიზი)

ავტორი **იმერიძე.**

გადაცემულია 24 - 5 - 1953.

პ ი რ ვ ე ლ ი მ ა ი ს ი, საქართველოს ვარდის თვეა, დღე დიდი ქართველი ქალის — თამარ მეფის, რომელმაც მე-12 საუკუნეში, ჯადოქარი ხელით შექმნა ქართული რენესანსი— „ოქროს ხანა“.

ჰუმანიზმი საქართველოში ადრე დაიწყო, და ქართველი ჰუმანიზმის გვირგვინია პარნასელთა მეფის რაინდი პოეტი შოთა რუსთავიდან. თვით რუსთველის პოეზიას დიდმა თამარმა ჩაუდგა სული... საქართველო, მაშინ ჰგალობდა ქალთა და კაცთა თანასწორობის ჰიმნს, რადგან თამარი ქართული პოეზიის გვირგვინია და ქართული სულის უკვდავება. აი როგორ ადიდებს მას ქართული პოეზია: პოეტ გრიგოლ ორბელიანის მუზა თავს ევლება მას.

„ცრემლ მორეული გემთხვევი ფეხთა,
მიხარის — გიმზერ!
ვწუხვარ და გიმზერ.

თამარით, გელათიც კი ამაყობს. მოწმე საქართველოს დიდებისა და ავბედობისა. აი რას ამბობს გელათი ვახტანგ ორბელიანის ქნარით აღგზნებული:

„აქ ჩემს წიაღში განისვენებს დიდი თამარი,
თამარ ბრწყინვალე, თამარ ტურფა და
მშვენიერი,
პოეზიისა, ერის გულში, სხივით მორთული.
ივერიისა, ძეთ დიდება და სიყვარული...

თამარი ქართველ ქალთა სიამაყეა, აბა ყური მიუგდოთ პოეტ აკაკი წერეთელს:

„ერთხელ მხოლოდ ისიც ძილში
ქართველ ქალთა ვნახე კრება,
გულფიცებით, მისი ნახვა,
ახლაც ისევ მენატრება!
ტახტზე იჯდა თამარ მეფე,
მომხიბვლავი, ეშხიანი...

თამარ მეფე სიმბოლოა სილამაზისა და მშვენიერებისა, იგი ამავე დროს დედაა ქართველთა, ერის სიცოცხლე, მისი უკვდავება.

„ქალო, ქართველთა სულის დგმავ,
ქალო, ქართველთა დედაო,
ტყუილად ვამბობთ შენს სიკვდილს,
თამარს ცოცხალსა ვხედავთ.
რუსთველის ქებას ჩვეულო,
მეც ქებას გაგიბედავ.
როს ვგრძნობ, იმისებრ ვერ ვმღერი
რად არ ვჩუმდები ნეტავ?
არ მოგეწონოს, იქნება,
სთქვა: რისთვის ითავხედა.
საუნჯე სათნოებისა,
ჩემიც მიიღე ქება.
გულში გვინთიხარ ლამპრადა,
ნათობს და არა ჰქრება.
შენს და შოთას მარჯვენას
ვემთხვევი ზედი - ზედა.
შენა ხარ ერის სიცოცხლე,
თავი არ მამიკვდება.
მოწყალედ გვექმენ ქართველთა,
ჩვენო ლამაზო დედაო.

გვიმღერის მთის მგოსანი ვაჟა - ფშაველა.

თამარი — ქართველი ერის გვირგვინია, მისი ბრწყინვალება:

„ხან მტრები აოხრებდნენ,
იდგა ღვარი ცრემლის ცხარის,
ბრწყინვალე დრო დაგვდგომია,
დრო დავითის და თამარის“.

დაგვმღერის ოდიშელი მგოსანი დუტუ მეგრელი.

თამარი — ივერიის წიაღში იშვა, ივერიის სინარნარეა, ქართლის სინაზე, იგი საქართველოს გაზაფხულია და მისი დღესასწაული:

„და, აჰა, გიმღერ ქართლის სულო, სულო
მზიურო,
ზაფხულის პირო, წმინდა ნებით მარად
ციურო!
თამარ ლამაზო და ნარნარო ივერიელო!

მოსთქვამს პოეტი ალექსანდრე შანშიაშვილის ქნარი.

ქართველი ერი კი, თავის უკვდავებას თავზე ევლება:

„თამარ ქალო,
რა ლამაზი რამე ხარო,
ნეტავ რაა მისთანა,
ამომავალი მზისთანა,
მეფე, თამარ ქალისთანა...

ეს სილამაზე, ერის სილამაზეა... თამარი კიდევ ქართლის სილამაზეა... საქართველოს მზე.

თამარის სიყვარულითაა აგრეთვე გალაღებული პირველი ქართველი პრეზიდენტი ნ ო ე ჟ ო რ დ ა ნ ი ა ს ღირსშესანიშნავი გამოკვლევა. აი რას სწერს ჩვენი საყვარელი პრე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზიდენტი: „თამარი — უეჭველია ჩვენი ისტორიის გმირია, უმაღლესი მორალური პიროვნებაა... პოეტმა მოგვცა წარმტაცი იდეალი ქალის სახით, ის საქართველოს ტანჯვა-წვალების, მისი მუდმივი საშიშროების გამომხატველი ლამპარია. პოეტი ამ სურათით გვეუბნება, ნუ დაეცემით, იბრძოლეთ და გაიმარჯვებთ...

მაშასადამე, თამარი — საქართველოა და უკვდავება.

ჩვენ, გადახვეწილები სამშობლოდან, გილოცავთ თამარობას, ქართული ვარდის თვის დღესასწაულს, დიდი თამარის სახელის მატარებელ ქართველ ქალებს. ჩვენს ძვირფას დედებს, დებს, მეგობრებს და ნათესავებს. გისურვებთ ღირსეულად გეტარებინოთ დიდი თამარ-ქალის უკვდავი და საყვარელი სახელი.

გვწამს, რომ მალე დადგება სანატრელი დღე თავისუფლებისა ჩვენი სამშობლოს შვინდის ფერი ბუნება, კვლავ აღსდგება.

დიდი თამარის საქართველო — არ მოკვდება! წყეულ კომუნისტური სიმბოლოს — ნამგალ-ჩაქუჩს, შესცვლის ჩვენი სამფეროვანი ქართული დროშა, სიმბოლო ეროვნული თავისუფლებისა.

---

## ვინ არის დამნაშავე?

ავტორი **ახალი ემიგრანტი.**
გადაცემულია 21-5-1953.

დღეს ჩვენ გვინდა ჩვენს რადიო-მსმენელებს ვესაუბროთ განსაკუთრებულ თვისებაზე, რომელიც კომუნისტურ სისტემას ახასიათებს. ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ ეს „დამახასიათებელი თვისება" ვინმესთვის უცხო იყოს და, ამდენად, რამეს ახალის თქმა გვინდოდეს.

მაგრამ ვიცით ერთი რამ, — თვითეულ ქართველს მ.ვ.დ-ს მიერ პირი აკრული აქვს და ერთი მოუფიქრებელი სიტყვის წამოცდენისათვის ცივი ციმბირისაკენ გაუყენებენ. ამიტომ თავისუფალი ქვეყნიდან, ჩვენ გვინდა ვილაპარაკოთ ჩვენი ხალხის „გულის დარდები".

მართლაც არაჩვეულებრივი რამ ხდება ჩვენს ბედკრულ ქვეყანაში. ახსოვს საქართველოს ბევრი შავი დღეები: არაბების, სპარსელების, მონგოლების, თურქების და სხვათა შემოსევა, მაგრამ ვერც ერთმა ისე ცინიკურად, ისე აბუჩად ვერ აიგდო ჩვენი ხალხი, როგორც ეს წითელი მოსკოვის დამპყრობლებმა შესძლეს ამ 32 წლის მანძილზე.

აბა კარგათ დავუკვირდეთ ერთ მდგომარეობას: ხომ გვახსოვს ყბად აღებული ამიერ-კავკასიის ფედერაცია და ამ ე. წ. ფედერაციის სამხარეო კომიტეტის მდივანი მამულია. გახსოვთ რომ ეს მამულია წლების მანძილზე ამიერ-კავკასიაში ბატონობდა, განუსაზღვრელი უფლებებით. ერთ მშვენიერ დღეს მამულია თავისი მეგობრებით, ხალხის მტრებათ გამოაცხადეს და საბჭოურად ანგარიში გაუსწორეს. უნდა გავარკვიოთ — ან მამულია თავისი დასჯილი მეგობრებით სრულიად უდანაშაულონი იყვნენ და, მაშასადამე, მართალი ადამიანები დახვრიტეს. ან ისინი მართლაც დამნაშავენი იყვნენ — მაშინ, შეგვიძლია დავასკვნათ — იმ წლების განმავლობაში, როცა მამულია მძინვარებდა კავკასიაში, ქართველი ხალხი იყო ამ მავნებლობის მსხვერპლი.

მამულიას ბერია მოჰყვა. სწორედ ბერიას ბატონობის ხანაში აღმოჩნდა შეთქმულების, მავნებლების, დივერსანტების, ჯაშუშების მთელი პლეადა. აი თუ გინდ მოვიგონოთ — აჭარისტანის მავნებელთა ცენტრი გეურქოვისა და ზაქარია ლორთქიფანიძის მეთაურობით; აფხაზეთის მავნებელთა ცენტრი — ლაკობას მეთაურობით; სიღნაღის მავნებელთა ჯგუფი — წითლიძის მეთაურობით; საქართველოს სახკომსაბჭო მგალობლიშვილის თავმჯდომარეობით, სხვა და სხვა დარგის კომისრები: მ. ტოროშელიძე, აკაკი თათარიშვილი და სხვები. მთელი რიგი რაიონული ქვე ცენტრები — ზუგდიდი, თელავი, ლანჩხუთი, ოჩამჩირე, დუშეთი და თითქმის ყველა დიდი და პატარა სოფლები, სადაც კომპარტიის მიერ დაყენებული უფროსები მასიურად აღმოჩნდენ ხალხის მოღალატენი.

ამდენი მოღალატეების უფროსი 1937 წელს მოსკოვში გადაიყვანეს და მისი ადგილი ჩარკვიანმა დაიკავა. ხოლო 1952 წელს აღმოჩნდა, რომ ჩარკვიანი ყოფილა ხალხის მტერი-მავნებელი და დღეს არავინ იცის, თუ სად იმყოფება ის ვინც 15 წლის განმავლობაში საქართველოს დიქტატორული წესით მართავდა.

ჩარკვიანის ადგილას მგელაძე წამოასკუპეს. საბჭოთა პროპაგანდამ მას — „საქართველოს საუკეთესო შვილი" უწოდა. ამუშავდა პოეზია. დაიბეჭდა ლიტერატურული „შედევრები" ახლად გამოჩეკილ დიქტატორის სადიდებლად. „ხალხს ეშველა, მოევლინა ნამდვილი სტალი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნური რკინის“ დიქტატორი მგელაძე, და, თურმე, მთელი ძველი შეცდომები ერთბაშად „გამოასწორა“.

მაგრამ დახეთ ბედის ირონიას! ეს, გუშინდელი „ნამდვილი შვილი ქართველი ხალხის“ — მავნებელი ყოფილა. არ გაუმართლა მგელაძეს მუცელზე ხოხვამ და ისიც იმავე გზით მიაბრძანეს, რომლითაც მრავალი მისთანები გაისტუმრეს. ასე მოუვა ყველას, ვინც ფიქრობს, რომ მ.ვ.დ-ს გულის მოგება შეიძლება

ისმება ისევ იგივე საკითხი: ან ყველა ეს ხალხი, რომლებიც შინსახკომ — მ.ვ.დ-ს მსხვერპლი გახდა, იყვნენ სრულიად უდანაშაულონი და ამ შემთხვევაში კრემლის დიქტატორებმა მათი სისხლით ხელი დაიბანა. ან ეს ხალხი მართლა დამნაშავენი იყვნენ, რაც უეჭველად სწორია, და ამ შემთხვევაში მამულიას ბატონობიდან - მგელაძის ბატონობის ჩათვლით ქართველი ხალხი საშინელ შევიწროებას **განიცდიდენ იმ რეჟიმისაგან, რომელმაც ხალხის ბედი მავნებელ - დივერსანტებს ჩააბარა.**

თუ გინდ გასცილდეთ საქართველოს საზღვრებს და ვესტუმროთ დიქტატორ - ტირანის სატახტო ქალაქს—მოსკოვს.

გვახსოვს იაგოდა, გამარნიკი და სისხლიანი ეჟოვი. შინსახკომის დიდი სპეციალისტები, საკონცენტრაციო ლაგერების დიდი მოღვაწეები. იაგოდამ დაიწყო ის „დიდი“ საქმე, რომელსაც საბჭოთა პრესა მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლას უწოდებდა.

როცა იაგოდა სისხლით გაძღა—თავიდან მოიცილეს და მისი სისხლიც იმ სისხლის ნაკადს შეუერთეს, რომელიც მის მიერ იყო დადენილი.

საქმე ეჟოვს ჩააბარეს. ყველას კარგად გვახსოვს ის წყეული დღეები, როცა ამ სისხლით გაუმაძღარმა ჯალათმა, ნამდვილი **კომუნისტური მეთოდებით** დაიწყო და წლების მანძილზე სისხლის ღვარს აყენებდა.

ეშელონები - ეშელონებზე მიდიოდა ციმბირისა და სხვა საკონცენტრაციო ლაგერებისაკენ. შინსახკომის ჯალათები დღიან - ღამიანა დაძრწოდენ, რომ სისხლის დამზადების სტალინური გეგმა გადაჭარბებით შეესრულებინათ. ეჟოვი მძვინვარებდა რეჟიმის მთელი სისასტიკით. გავიდა ხანი. სტალინის მარჯვენა ხელი — სისხლიანი ეჟოვი, ხალხის მოღალატე გამოდგა და იმავე მიმართულებით გაგზავნეს, რომლითაც ის ათასობით უდანაშაულო ხალხს ისტუმრებდა. თუ მართლა ეჟოვი და იაგოდა ხალხის მტრები იყვნენ, რაშიც ჩვენ ეჭვი არ გვეპარება, მაშინ ხომ მათ მიერ გაციმბირებული და დახვრეტილი ხალხი ხომ უდანაშაულონი იყვნენ?

1952 წელს, საბჭოთა ექიმები დააპატიმრეს. წარმოიდგინეთ, ბრალდებაც „დაუმტკიცეს“.— ჯაშუშები კი ლენინის ორდენებით დააჯილდოვეს. სამაგიეროდ ებრაელები დაარბიეს, როგორც ამერიკის „იმპერიალიზმის“ მოსყიდული აგენტები, დასავლეთის დემოკრატიაც ზედ მიალანძღეს. ამ ტრაგი - კომიკური საბჭოთა სცენების შემდეგ აღმოჩნდა — ექიმები უდანაშაულონი ყოფილა, ხოლო მ.ვ.დ-ს ბობოლა შეფები — იგნატიევი და რიუმინი „ცილისმწამებლები“ უდანაშაულო ხალხის გამაციმბირებელი და ამერიკის ჯაშუშები. ამერიკა, ამერიკელი ხალხისადმი ცილისწამება მაინც მიუმატეს. უამისობა საბჭოებში შეუძლებელია. და ამ „მიზეზებით“ იჭერენ, აციმბირებენ და ხვრეტენ ბრალიანს და უბრალოს.

ისმება ისევ იგივე კითხვა: ვის ედება ბრალი ყველა იმ დანაშაულისათვის, რომელიც სტალინის თანამებრძოლებმა ჩაიდინეს? ხომ შეიძლება ხვალ რომელიმეშვილი და დიდი ბერიაც ხალხის მტრები აღმოჩნდნენ და იმავე გზას გაუყენონ, როგორც მათი წინაპრები? ამ შემთხვევაში სტალინის მოღვაწეობის შედეგს,—უდანაშაულო ხალხის სისხლის ღვარს,—ამათ მიერ დაღვრილი და მათივე საკუთარი სისხლიც მიემატება.

**დღემდე ვინც მართავდა ქვეყანას — ყველა მოღალატე აღმოჩნდა. ვინც დღეს მართავს, ხვალ ისიც მოღალატეთ იქნება აღიარებული. ხალხისთვის კი სულერთია! ერთი ჩეკისტი მეორეთი შეიცვლება. ხალხის სისხლის დენა კი მანამდე არ მოისპობა, სანამ კომუნისტურ-დიქტატორული ტირანია არ მოისპობა. და ეს დრო არც ისე შორს არის!..**

## თავისუფლების ნაცვლად ცხელი ტყვია!

16 ივნისს 1953 წელს საბჭოთა სექტორის გერმანელი მუშები ბერლინში უდიდესი გაფიცვებით გამოვიდნენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ათასობით გერმანელი მშენებელი მუშები,

ცოლებით, ბავშვებით იდგნენ ქუჩაში, ლოზუნგებით ხელში:

„ჩვენ ვითხოულობთ სამუშაო საათების შემცირებას!"

„ჩვენ ვითხოულობთ ხელფასის მომატებას!"

„ჩვენ ვითხოულობთ თავისუფალ არჩევნებს!"

„ჩვენ გვინდა თავისუფლება!".

დიახ, მოგუგუნებდა უკმაყოფილო მუშათა ტალღები ქუჩებში. განა მარტო გერმანელი მუშები არიან ასეთ პირობებში საბჭოთა „სამოთხე" ქვეყანაში? ჩვენთვის აქ ხომ ახალი არაფერია? საქართველოს მცხოვრებნი, ხომ თავისუფლების დაკარგვის დღიდგან იბრძვიან საბჭოების ვერაგობის წინააღმდეგ.

მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა სისტემა ყვლეფს, იმონებს, ხოცავს გლეხს ქართველ ერს, მაინც არ ვკვდებით, ისტორიული უჩინარი ბუნების ძალით, პრომეთეოსის მსგავსად, ქართველი ერის გული მაგრდება, ვაჟკაცდება და ელოდება დღეს თავისუფლებისას.

რამდენჯერ გამოსულა ქართველობა საბჭოების წინააღმდეგ ღია თუ ფარული, ერთიანი თუ ერთეულობის სახით ბრძოლაში, მაგრამ ყველა ეს ბრძოლები სისხლში იქნა ჩახრჩობილი. ეს ხომ საბჭოების საამაყო ჩვეულებაა: სისხლი, სიკვდილი, შიმშილი, დამონება, გალატაკება!

ასევე მოიქცენ ბერლინის აღმოსავლეთის ნაწილშიაც; თორმეტი ათასამდე წითელ არმიელი შემოიყვანეს ტანკებით და ცეცხლის ტყვიებით უპასუხეს გერმანელ მუშებს: აი თქვენი თავისუფლებაო- უიარაღო ხალხს, რომელსაც თავისუფალი ცხოვრება სწყუროდა.

ყველამ ვიცით, რომ საბჭოები დაუნდობელია და ამ დაუნდებლობას მარქს-ენგელსის დროშის ქვეშ აფარებენ.

„შრომამ შექმნა ადამიანი"-ო იგონებენ ენგელსის სიტყვას, აბა ეს ხომ შრომა არ არის, მშრომელებისათვის? ძაფ-სალებ ქარხანაში მუშა-ქალმა ოთხ დაზგას უნდა მოუაროს, რომ ზედმეტი პრემიები მიიღოს. მაღაროს მუშამ ოცდაოთხ საათში მზის სინათლეც არ უნდა დაინახოს, რომ თავისი ცხოვრების მოთხოვნილება 50% დააკმაყოფილოს. დილიდგან საღამოს მზის ჩასვლამდე გლეხი თავის სახლს ვერ ნახავს, ველზე უნდა მუშაობდეს, რომ ოთხი თვის საზრდო მოიყვანოს; სად მიდის სხვა დანარჩენი შრომის ნაყოფი? რა თქმა უნდა საბჭოთა მუქთახორების, მუშათა, გლეხთა და ინტელიგენციის მყვლეფელთა ხელში.

რომელ კაპიტალისტურ ქვეყანაში არის ისე მუშა გაყვლეფილი, როგორც საბჭოთა „სოციალისტური", „მუშათა, გლეხთა და ინტელიგენციის" სახელმწიფოში? ცოცხალ სამუშაო ძალას ჩალის ფასად ყიდულობენ საბჭოები; მონურმა შრომამ დაქანცა და გააჩანაგა სამუშაო ძალა, რაც საშიშროებას წარმოადგენდა საბჭოებისთვის. ამისგამო სტალინმა პრემიები გამოსცა მრავალრიცხოვან ოჯახებისათვის. ეს იყო ერთი მისი გამოსავალი სამუშაო ძალის კრიზისიდგან.

ამავე ხერხებს მიმართეს გერმანიის აღმოსავლეთ ნაწილში, რისგამო მუშებმა გაფიცვით უპასუხეს.

აღმოსავლეთ გერმანიის საბჭოთა მთავრობამ დაინახა თავისი ლაჩრული, არა ადამიანური დამოკიდებულება მუშებისადმი და იძულებული შეიქმნა შრომის ნორმების 10% გადიდების პროექტი უკან წაეღო. მთავრობის სასახლის ფანჯრები, კარები ჩაამტვრიეს. „საბჭოთა რუსეთი, რომ არ ჩარეულიყო ამ საქმეში, აღმოსავლეთ გერმანიის კომუნისტური მთავრობა, ტახტიდგან გადმოგდებული იქნებოდა"-ო სთქვა ბერლინის დასავლეთ ნაწილის ქალაქის თავმა პროფესორ როიტერმა.

„ისარი".

ბერლინი.

## თურქული პრესის გამოძახილი

სტამბოლის კრებულ „თარიხ დიუნიასი"-ში („ისტორიის სამყარო") მოთავსებულია მისი გამომცემლის ბ-ნ ნიაზი აჰმეტ ბანოგლუს წერილი ნოე ჟორდანიაზე. ტექსტში დართულია პრეზიდენტის ორი სურათი და შედგენილია დიდი სითბოთი და სიმპატიით. ვბეჭდავთ მის თარგმანს მცირეოდენ შემოკლებით.

### საქართველოს პრეზიდენტის ნოე ჟორდანიას გარდაცვალება

ნოე ჟორდანია ეს ის კაცია, რომელიც მთელი თავისი ცხოვრების გასწვრივ ებრძოდა ჯერ ცარისტულ და შემდეგ წითელ რუსეთს საქართველოს გასათავისუფლებლად. თქვენ აქ გაიცნობთ მის ბიოგრაფიას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

11 იანვარს 1953 წ. პარიზში გარდაიცვალა საქართველოს რესპუბლიკის უკანასკნელი პრეზიდენტი და სოციალ-დემოკრატიის ლიდერი.

ეს სახელი ეკუთვნის იმ ადამიანს, რომელიც ცნობილია საერთაშორისო პრესაში ცარისტულ რუსეთის დამხობის და მისი მომყოლი დიდი მოვლენების შემდეგ, როგორც თავისი სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე შეურყეველი პოლიტიკური მებრძოლი. უკანასკნელად ის მეთაურობდა პარიზში საქართველოს მთავრობას და იბრძოდა მისი ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის.

ნოე ჟორდანიას პოლიტიკური ცხოვრება მისაბაძი მაგალითია ყველა ხალხებისათვის, თავიანთი დამოუკიდებლობისათვის, რომ იბრძვიან. მთელი თავისი ენერგია და სიცოცხლე მოანდომა მან ჯერ მეფის და შემდეგ კომუნისტური რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლას საქართველოს გასანთავისუფლებლად და მისი დამოუკიდებლობის აღსადგენად. (აქ მოყვანილია ნოე ჟორდანიას მოკლე ბიოგრაფია, რასაც მკითხველი იცნობს. (ვ. ი.).

იმ დროს, როცა ნოე ჟორდანია შეუდგა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას, საამისო ნიადაგი უკვე მზად იყო. გენერალი გრიგოლ ორბელიანის, ალექსანდრე ჭავჭავაძის, ვახტანგ ორბელიანის და, ცოტა შემდგომ, ილია ჭავჭავაძის, ნიკო ნიკოლაძის, ეგნატე ნინოშვილის, კირილე ჩხეიძის და ისიდორე რამიშვილის მოღვაწეობის ნაყოფი, უკვე მოჩანდა ამ მიმართულებით და საქართველოს ჰორიზონტზეც სინათლე ამოდიოდა. საერთოდ, ქართველები, მთელი თავიანთი ისტორიის მანძილზე იბრძოდენ დამოუკიდებლობისათვის და თავისუფლების ეს სიყვარული მათში თაობიდან თაობაზე გადადიოდა.

ნოე ჟორდანიამ და მისმა პარტიამ—სოციალ-დემოკრატიამ, გამოიწვიეს რევოლიუცია და შეარყიეს მეფის რუსეთი. 1903 წლიდან, თავის გაზეთ „კვალში“ ნოე ჟორდანიამ დაიწყო ახლებური ბრძოლა საქართველოს ოჩოთავიან არწივის კლანჭებიდან გამოსაგლეჯად. ამავე ეპოქაში მენშევიზმის ლოზუნგით, იგი დაეტაკა ბოლშევიკებს, მოიპოვა მთელი ხალხის სიმპატია და ცხადია, როგორც რუსეთის მტერი გადაასახლეს და გაზეთიც დაუხურეს. მაგრამ მებრძოლი ჟორდანია არ ცხრებოდა; გადასახლებიდან ის ბერძნული პასპორტით უცხოეთში გადაიხიზნა.

1905 წელში, საქართველოში საიდუმლოდ დაბრუნებული ნოე ჟორდანია ისევ შეუდგა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლას. ამ დროს, იაპონიასთან ომის გამო, რუსეთის მთავრობა დაკავებული იყო სხვა საქმეებით და საქართველომ მოახერხა ზოგი უფლებების მოპოვება. საქართველოს დეპუტატად არჩეულმა ნოე ჟორდანიამ ახლა ბრძოლა დაიწყო უკვე მოსკოვიდან... თავისუფლების თესლი საქართველოში უკვე ნაყოფს იძლეოდა. ისეთი ცნობილი პირები, როგორიც წერეთელი, ჯაფარიძე, ლომთათიძე, ჯუღელი შეუჩერებლივ აგრძელებდენ ბრძოლას.

1915 წელს გარდაიცვალა საქართველოს ეროვნული პოეტი აკაკი წერეთელი; მაშინ საქართველოში მყოფმა ნოე ჟორდანიამ გაგზავნა გვირგვინი წარწერით „ქართველი ხალხისაგან“ *); ძვირი დაუჯდა ეს გამბედაობა. ის კვლავ დატუსაღებული იქმნა, მაგრამ საქართველოს დამოუკიდებლობა ახლოვდებოდა. 1918 წლის 26 მაისს მან გამოაცხადა თავისი დამოუკიდებლობა და თავისუფლება. ნოე ჟორდანია არჩეულ იქნა რესპუბლიკის პირველ პრეზიდენტათ. ეს გაგრძელდა 1921 წლის თებერვლამდე და მან ისევ ნახა თავისი ხალხი უცხო უღელ ქვეშ.

უკანასკნელ ამოსუნთქვამდე სწამდა მას საქართველოს დამოუკიდებლობა და სამარეში ჩაყოლებული მისი „მოგონებები“ წარმოადგენენ ანდერძს თავის ხალხისადმი, განაგრძოს ბრძოლა დამოუკიდებლობის აღსადგენად.

თავის სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე ის ცხოვრობდა იმედით. მას არ მოესწრო სტალინის სიკვდილი, ქართველის, რომელმაც თავისუფლების მოყვარულ თავის ხალხს, საშინელი უღელი დაადგა. ჟორდანიას ღრმად სწამდა, რომ მისი ხალხი მალე გახდება თავისუფალი და დამოუკიდებელი.

*) ეს მოვალეობა დააკისრა მას ყველა ქართული პარტიების თათბირმა იმ დროს.

რედ.

## უცხოეთის პრესა

„New-York Times“, 6 ივნისი 1953.

საქართველოს ხალხმა, რომელიც დღეს საბჭოთა კავშირში საქართველოს „რესპუბლიკას“ წარმოადგენს, 35 წლის წინ გამოაცხადა საქართველოს რესპუბლიკის ნამდვილი დამოუკიდებლობა. ამ აქტით ის შეეცადა აღედგინა მე-18-ე საუკუნეში დაკარგული დამოუკიდებლობა. საქართველოს მეფემ გამოითხოვა რუსთა ხელმწი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფის მთავრობა, რასაც, ცოტა ხნის შემდეგ, მოჰყვა პატარა სახელმწიფოს სრული ანექსია. 1918 წ. მაისში დაარსებულმა რესპუბლიკამ იარსება თითქმის სამ წელს, 1921 წ. თებერვალში, საბჭოთა ჯარები, ნამდვილი აგრესიის აქტით, შეიჭრენ ამ ქვეყანაში, დაამარცხეს კანონიერი მთავრობა და დააწესეს მინიატურული კომუნისტური რეჟიმი, რომელმაც საქართველო მალე გახადა საბჭოთა კავშირის ნაწილად. ამ აგრესიას ადგილი ჰქონდა მიუხედავად 1920 წ. მაისის ხელშეკრულებისა, რომელზედაც ლენინის რეჟიმმა მოაწერა ხელი და რომელიც სცნობდა საქართველოს დამოუკიდებლობას და სუვერენობას.

თავისუფალ საქართველოს ბედი იმ პერიოდში განცალკევებული არ იყო, რადგან ცოტა უფრო ადრე, მზგავსი აგრესიის მსხვერპლი გახდენ უკრაინა, აზერბაიჯანი და სომხეთი. 1939 და 1940 წლებში მსოფლიო მოწამე გახდა მზგავსი აგრესიების მთელი რიგისა, რომელიც მიმართული იყო პოლონეთის, ბალტიის სახელმწიფოების და ფინლიანდიის წინაამდეგ. ამ უკანასკნელმა შესძლო, ნაწილობრივ მაინც, თავისუფლების შენარჩუნება თავისი უმაგალითო ბრძოლის წყალობით. დღეს, როცა მსოფლიოში გაბნეული ქართველები, იგონებენ თავიანთ დამოუკიდებლობის დღეს და გლოვობენ დაკარგულ რესპუბლიკაზე, თავისუფალი ხალხებისათვის გასაგებია მათი განცდები. ისინი უერთდებიან მათ იმედს, რომ ახლო მომავალში, საბჭოთა ხალხებს მიეცემათ საშუალება თვითონ განსაზღვრონ თავიანთი ბედი დემოკრატიული წესების მიხედვით.

## დემოკრატიული ახალგაზრდობა

შაბათს 6 ივნისს „Societés Savantes"-ის დარბაზში ახალი თაობის დემოკრატიულმა ორგანიზაციამ მოაწყო თავისი პირველი საჯარო გამოსვლა ქართველ საზოგადოების წინაშე. წაკითხულ იქმნა ორი რეფერატი: რ. ჟორდანიას მიერ ფრანგულ ენაზე — ქართული მუსიკალური ფოლკლორი და გ. წერეთლის მიერ ქართულად — კოლექტივიზაციის საკითხი თავისუფალ საქართველოში. თემა — ორივე მნიშვნელობანი და ძირეული.

რ. ჟორდანიას გამოსვლა იყო ნამდვილი რევოლუცია ჩვენი საზოგადოებისათვის. ჩვენ ვიცოდით, რომ ეს ახალგაზრდა კომპოზიტორი, დაუვიწყარი პრეზიდენტის შვილი, დაჯილდოებული იყო მუსიკის ღვთიური ნიჭით, მაგრამ ახალი იყო ჩვენთვის მის მიერ ქართული მუსიკით ასე ღრმად დაინტერესება და საფუძვლიანად შესწავლა. ახალგაზრდა რეფერენტი ისეთი მაგისტრალური დაუფლებით ანვითარებდა თავის დაკვირვებებს ამ მეტად რთულ პრობლემაზე, რომ გეგონებოდათ, თითქოს ბავშობიდან ამის მეტი არაფერი უკეთებია. მუსიკის ზოგიერთი თეორიული საფუძვლების ახსნა-განმარტების შემდეგ, რეფერენტი ქართული დისკების საშუალებით, შეეცადა გამოერკვია ქართული მუსიკის წარმოშობა და მისი მიმართება მსოფლიო ფოლკლორის ნიმუშებთან. მან გაარჩია ქართული ფოლკლორის ორი შტო — დასავლეთი და აღმოსავლეთ საქართველოში, ხაზი გაუსვა მათ შორის განსხვავებას, რომელიც აიხსნება სხვადასხვა გავლენით ქართველთა ცხოვრებაზე და აღნიშნა, რომ ადვილი შესაძლებელია მისმა შესწავლამ დღევანდელ მუსიკალურ მეცნიერებას მისცეს საშუალება ბევრი დღეს გაუგებარი ანტიური ნაშთის ახსნა-განმარტების, მაგ. ზოგ ეგვიპტურ იეროგლიფებისა, რომლებზედაც ფიქრობენ, რომ შეიძლება იყოს ძველი ნოტები იეროგლიფებში. ქართულ ფოლკლორს შეუძლია ამ საიდუმლოების გახსნა, რადგან ის ერთად-ერთი ცოცხალი ნაშთია ძველი, ხმელთაშუა ზღვის მუსიკალური განძეულობისა.

როგორც ვიცით, სხვა დარგებთან შედარებით ეს კუთხე ძველი ქართული სულისა, ჯერ-ჯერობით თითქმის შეუსწავლელია. ჩვენის ცნობით, ერთად-ერთ ღრმა კვლევა-ძიების ნიმუშს ამ დარგში ჩვენი დამსახურებული პროფესორი ივ. ჯავახიშვილის შრომა წარმოადგენს. ამიტომ ახალგაზრდა კომპოზიტორის ცდა მართლაც მისალმების და გამხნევების ღირსია და სწორედ ამ მიმართულებით იყო ბ. ის. გობეჩიას მოკლე სიტყვა. მან სიამოვნებით აღნიშნა ახალგაზრდა თანამემამულის, რომელიც საქართველოში არ ყოფილა, ნაბიჯის დიდი მნიშვნელობა და მოუწოდა მას და ყველა ახალგაზრდა ხელოვანით, განაგრძონ და გააღრმავონ თავიანთი კვლევა-ძიება და ცოდნა ჩვენი ხელოვნების სხვადასხვა დარგში. ეს იქნება დიდი სამსახური ქართველი ერის წინაშე. ამ გზით, ქართველ ახ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალგაზრდობას საუკეთესო პროპაგანდის გაწევა შეუძლია უცხო საზოგადოებაში. არსებობს უნესკოს სპეციალური განყოფილება, რომლის დაინტერესება ჩვენი მოვალეობაა. ბ-ნმა გობეჩიამ მხურვალე მადლობა გამოუცხადა მომხსენებელს, რაშიდაც ის დამსწრე საზოგადოების ერთსულოვან აზრს გამოსთქვამდა.

ვ. წერეთელს წილად ხვდა კოლექტივიზაციის მეტად მწვავე საკითხის გაშლის ინიციატივა. როგორი უნდა მოეგვარდეს ეს პრობლემა თავისუფალ საქართველოში ისე, რომ დაკმაყოფილდეს გლეხთა კანონიერი მოთხოვნილება-სურვილები და არ დაზიანდეს ეროვნული მეურნეობა? რეფერენტმა დაწვრილებით განიხილა კოლექტივიზაციის მავნე, გამანადგურებელი შედეგები მორალური, ეკონომიური და ეროვნულ პოლიტიკური თვალსაზრისით. ბოლშევიკური იმპერიალისტური სამეურნეო სისტემა წარმოადგენს ისეთ მთელს, რომლის განუყრელი ნაწილია ყველა ეროვნული ერთეული. ამ გზით, მოსკოვი შეეცადა მოესპო, ერების დამოუკიდებელი არსებობის ეკონომიური საფუძველი. ამ მიზეზების გამო, რომ მომავალი დამოუკიდებლობის დღეებში საერთო გაღატაკება აცილებულ იქნას თავიდან, საჭიროა საკითხისადმი ფრთხილი, წინდახედული მიდგომა. კოლექტივების პრობლემა უნდა წინასწარ დამუშავდეს, რომ მრავალი მოულოდნელობა აცილებულ იქნას თავიდან. მომხსენებელი ფიქრობს, რომ შესაძლოა, უფრო გონიერი იყოს, ზოგიერთ რაიონებში, ზოგი მსხვილი მეურნეობა დატოვებულ იქნას გლეხთა კოლექტიური ექსპლოატაციის საგნად, რასაკვირველია, მიწის დასამუშავებელი იარაღის და გამწევი ძალის, მათ აბსოლიუტურ საკუთრებაში გადასვლით. ცხადია, მომხსენებელს არ ამოძრავებდა, საკითხის სრული ამოწურვის რწმენა. მისი საგანი იყო საკითხის დასმა. მან მიზანს მიაღწია; საკითხი დაისვა ქართულ საზოგადოების წინაშე საჯაროდ და, კარგადაც დაისვა.

მოხსენების გარშემო ბაასში მონაწილეობა მიიღეს ბ.ბ. კ. გვარჯალაძემ და გრ. ურატაძემ, რომელთაც აღნიშნეს ახალგაზრდობის წამოწყების ღირსეულობა და მნიშვნელობა, და განავითარეს ზოგადი დებულებები, პრობლემის გადაჭრას, რომ წინ უნდა უძღოდეს. მთავარია, საკუთრების საკითხის პრინციპში გადაწყვეტა; ე. ი. ქართველი მოქალაქე უნდა გახდეს მესაკუთრე და ნაწარმოების ნაყოფის პატრონი. პატარა კერძო საკუთრება მოქალაქის თავისუფლების საფუძველია. რაც შეეხება დეტალებს, ეს ადგილზე გადაწყდება ეროვნული მეურნეობის ინტერესების მიხედვით. საკითხი შესწავლილი და დამუშავებული უნდა იქნეს მით უმეტეს დღეს, როცა მოსკოვის წითელი ტირანია თავის უკანასკნელ წუთებს ითვლის.

ასე ნაყოფიერად დასრულდა ქართველ ახალთაობის ორგანიზაციის პირველი საჯარო გამოსვლა, რომელსაც თავმჯდომარეობდა ბ-ნი გ. ნოზაძე.

ვ.

---

## ქართულ სათვისტომოში

ჩვენი გაზეთის მე-12 ნომერში მოთავსებული იყო ბ-ნ რეგანელის წერილი ჰოლანდიელ მეცნიერის ბ-ნ ვან დერ მეერის ახლად გამოცემულ შრომის „დასავლეთური ცივილიზაციის ატლასი“-ს შესახებ, სადაც ძველი ქართული ხელოვნების ძეგლები და თვით ის ადგილებიც, სადაც ისინი იმყოფებიან, სომხურად არის გამოცხადებული. ამ საგანზე საფრანგეთში მყოფ ქართველთა სათვისტომოს გამგეობა გვთხოვს გამოვაცხადოთ:

სათვისტომოს გამგეობის თხოვნით პროფ. მიხეილ წერეთელმა მიუთითა პროფ. ვან დერ მეერ-ს დაშვებულ შეცდომებზე და სთხოვა გასწორება.

ჰოლანდიელმა მეცნიერმა დამაკმაყოფილებელი პასუხი გამოუგზავნა ბ-ნ მიხ. წერეთელს. იგი მადლობას უცხადებს ჩვენს მეცნიერს შეცდომების აღნიშვნისათვის, რომელნიც დაუშვია ინდექს-ის შემდგენელ გამომცემლობას. მწუხარებას გამოსთქვამს, რომ პირადათ არ უნახავს საქართველოს შესანიშნავი ძეგლები, რომ მას არა აქვს ჩვენი ეკლესია-მონასტრების სურათები, ატლასში მოსათავსებლად და სთხოვს პროფ. მიხეილ წერეთელს გამოუგზავნოს თუ ასეთები მას მოეპოვება. ის გამოსთქვამს ულრმეს თანაგრძნობას საქართველოს მიმართ.

პროფ. მიხეილ წერეთელმა გაუგზავნა ჰოლანდიელ კოლეგას ჩვენი მონასტრების სურათები.

დაახლოებით ამავე შინაარსის წერილი გაუგზავნია ბ-ნ ნ. ნაკაშიძეს მიუნხენიდან და მასაც მიუღია დამაკმაყოფილებელი პასუხი.

წინასწარ მადლობასთან ერთად, გთხოვთ მიიღოთ ჩვენი საუკეთესო სურვილები

**სათვისტომოს გამგეობა.**

ბ-ნი ნ. ნაკაშიძე კი გვატყობინებს: როგორც

ეროვნული ბიბლიოთეკა

კი მოვიღეთ ამის შესახებ ცნობა, მივმართეთ გამომცემლობას, რომელმაც ეს მიმართვა გადაუგზავნა პროფ. ვან დერ მეერს. აქვე გაცნობთ პროფ. ვან დერ მეერის იმ პასუხს, რომელიც მიიღო გამომცემლობამ და მან ჩვენ გადმოგვიგზავნა:

ლეიდენ, 28 მაისი 1953 წ.

„ბ-ნო დირექტორო!

ქრისტიანულ საქართველოს ძეგლების შესახები შეცდომა, რომელზედაც თავადი ნაკაშიძე მიუთითებს მართლაც ძალზე დიდია და გთხოვთ მიიღოთ ზომები მის გასასწორებლად; საქმე ეხება სარჩევს (ინდექსს), რომელიც, სხვათაშორის მე არ შემიდგენია და არც პასუხისმგებლობა მიმიძღვის. რაც შეეხება რუქებს, საქართველო აღნიშნულია რუქა 15, წრომის, მცხეთის და სხ. გვერდით; იგივე სახელი შეიძლება დაემატოს რუქებს 12 და 16 და, აგრეთვე, სათაური გვერდზე, № 1-ზე.

გთხოვთ მიიღოთ, ბ-ნო დირექტორო, ჩემი საუკეთესო გრძნობები.

ბ. ვან დერ მეერი“.

ქართული საზოგადოება კმაყოფილებით შეხვდება ამ გაუგებრობის გაფანტვას. **რედ.**

---

კვირას, 14 ივნისს სათვისტომოს გამგეობის ინიციატივით პარიზის ქართველებმა თავი მოიყარეს „პერ ლაშეზ“-ის სასაფლაოზე, საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის კ. ჩხეიძის, ტრაგიკულად გარდაცვალების 27 წლის თავის აღსანიშნავად. დიდი გარდაცვალებულის წლის თავის აღნიშვნა, მის საფლავთან მოგროვებით, ტრადიციათ გადაიქცა ქართული საზოგადოებისათვის, რადგან ეს ერთად-ერთი საშუალებაა მისთვის, პატივი სცეს იმ ადამიანის ხსოვნას და ღვაწლს, რომელმაც თავდადებით ემსახურა თავისი ხალხის საქმეს და სახელოვნად ატარა მისი თავისუფლების დროშა შინ და გარეთ. სიტყვები წარმოსთქვეს ბ.ბ. კ: გვარჯალაძემ და აკ. ჩხენკელმა.

---

იმავე გამგეობის თაოსნობით კვირას 28 ივნისს გადახდილ იქნა პანაშვიდი, სენტ-უენის სასაფლაოზე, ქაიხოსრო ჩოლოყაშვილის სულის მოსახსენიებლად და მისი დაუვიწყარი ხსოვნის აღსანიშნავად. დაესწრო მრავალი რიცხოვანი საზოგადოება. პანაშვიდი გადაიხადა მამა ილიამ; ქაქუცას ღვაწლის და ბრძოლების სადიდებელი სიტყვა წარმოსთქვეს ბ.ბ. აკ. ჩხენკელმა და ელ: პატარიძემ.

---

კვირას 5 ივლისს, სათვისტომოს გამგეობამ ლევილში მოიწვია ქართული საზოგადოება. მამა ილიას მიერ გადახდილ იქნა ჯერ წირვა შატოს შენობაში, შემდეგ პანაშვიდი ლევილის სასაფლაოზე უცხოეთში დაკარგულ დაუვიწყარ მოღვაწეთა და თანამემამულეთა სულის მოსახსენებლად.

პანაშვიდის შემდეგ შატოს ეზოში გაიმართა დიდი „პიკნიკი“, რომლის საშუალებითაც დამსწრე საზოგადოებამ თავისი წვლილი გაიღო გამგეობის საქველმოქმედო მიზნებისათვის. მეორე წელია, რაც ეს საქველმოქმედო სადილი იმართება ლევილში და მან იმდენად დიდი და ნაყოფიერი შედეგი გამოიღო, რომ სასურველი იქნება თუ ასეთი წლიური შეხვედრა საბოლოოდ დაკანონდება. საუცხოო ამინდმაც ხელი შეუწყო შეხვედრის შესაბამ განწყობილების შექმნას.

---

**ბ. ალ. ასათიანის მოხსენება**

შაბათს 27 ივნისს „მიუზე სოსიალ“-ის დარბაზში ბ-ნ ალ. ასათიანმა გააკეთა მოხსენება საქართველოს საკითხზე. მოხსენების შემდეგ გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა, რომელშიდაც მონაწილეობა მიიღეს ბ.ბ. ალ: ჯაფარიძემ, ი: გობეჩიამ, აკ. ჩხენკელმა, მ. ჩუბინიძემ და გრ: ურატაძემ.

---

მიუნხენის რადიო-სადგური, „განთავისუფლება“, გადაცემები სწარმოებს ყოველ დღე საღამოს 7-30; 8-30; 9-30; 10-30; აქაური დროით, ტფილისის დროით ემატება 2 საათი.

გადაცემა 15 წუთიანია, 19 მეტრის დიაპაზონით და შეიცავს მოწოდებებს, ყოველ-დღიურ ამბებს და მათ კომენტარიებს.

**საყურადღებოდ**

„მებ. საქ.“-ოს წინა ნომერში გამოქვეყნებულ რადიო-გადაცემებს: „წინა დღით“; „26 მაისის 35 წლისთავი“; „1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება და მისი ბედი“, აკლია ავტორის დასახელება. უნდა იყოს: ავტორი რ. არსენიძე:

Directeur responsable: Nic. Ourouchadzé, 13, rue Edgar-Quinet Montrouge — Seine
Impr. de Navarre, 11, rue des Cordelières, Paris.